# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 11 სექტემბერი 2003 №171 (1942) | ფასი 50 თეთრი




ბადრი კეთილაძის ფოტო

## წადით სახლებში, თქვენი თამაში დამთავრდა



ბადრი კეთილაძის ფოტო

## ბოლო-ბოლო, სულ ბოლო?!

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვეიცარია | 7 | 3 | 3 | 1 | 13:11 | 12 |
| რუსეთი | 7 | 3 | 2 | 2 | 16:11 | 11 |
| ირლანდია | 7 | 3 | 2 | 2 | 10:9 | 11 |
| ალბანეთი | 8 | 2 | 2 | 4 | 11:15 | 8 |
| საქართველო | 7 | 2 | 1 | 4 | 7:11 | 7 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი ბოლო ბოლოა

2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. მეათე ჯგუფი

## ალბანეთი 3:1 საქართველო

ტირანა. 10 სექტემბერი. 23 საათი. ქემალ სტაფა. 15 000 (ტევადობა 20 000)

1:0 ჰაბი (52), 2:0 ტარე (54), 2:1 არველაძე (63), 3:1 ბუში (80)

ალბანეთი: სტრაკოშა, ბექირი, ჩიპა, ჩანა (მუკა 85), ჰასა, მურატი (ჰაქსი), შკემბი, რაკლი (ბუში 58), ალიაი, ტარე, დური

მწვრთნელი: ჰანს-პეტერ ბრიგელი

საქართველო: ლომაია, ხიზანიშვილი, ქემოკლიძე (რეხვიაშვილი 38), დიდავა (დემეტრაძე 65), კვირკველია, კობიაშვილი, ნემსაძე, აშვეთია, იაშვილი (ქინქლაძე 56), ჯამარაული, არველაძე

მწვრთნელი: მერაბ ჟორდანია

გაფრთხილება: ჩიპი, დემეტრაძე, რეხვიაშვილი

გაძევება: გახოკიძე (56)

მსაჯები: ს. მირჩა (რუმინეთი)

ჯარიმა: 20-14; კუთხური: 0-6; კარისკენ დარტყმა: 2-4; კარში დარტყმა: 8-2; თამაშგარე: 0-3

პაატა კვანტალიანი

გუშინ ალბანეთმა საქართველოს ნიღაბი მოხსნა. ტირანაში ოქროს ბილიკის საპოვნელად ჩასული ჟორდანიას გუნდი უფსკრულში ჩავარდა. საქართველო ჯგუფში მეორე ადგილზე გასვლის პრეტენზიით შევა „შავ არწივს", ალბანეთის უკან კი აღმოჩნდა.

ეს შესარჩევიც თითქმის დამთავრდა და ეჭვს არ იწვევს ის, რომ ბოლო ადგილი არ აგვცდება. მომავალი სამსოფლიოსჩემპიონატო კენჭისყრისას კი ბოლო კალათა გველოდება. საქართველოს იმედი ჩანასახშივე მოკვდა. ალბანეთის ძლევა შვეიცარიის დამმარცხებელ რუსეთთან ოქროს მატჩს გვიქადდა, თუმც „ქემალ სტაფაზე" შერცხვენილი შინდისფერი ლეგიონი რუსეთისთვის მორჩილი ბატკანი იქნება. ეგებ მოსკოვში უმოტივაციოდ ჩასვლა უკეთესიც იყოს, მოტივირებულმა საქართველომ რუსეთზე გაცილებით სუსტ ალბანეთთან ვერაფერი გააწყო და ასეთი მარაგით რუსეთში ჩასულს ვინძლო, დიდად დაემწუხრებინა იმედმოცემულ ქომაგთა გულები. მაგრამ ეს აღარ მოხდება, საქართველო უშანსოა. ჩვენმა გუნდმა კვლავაც წარმატებით დაამტკიცა, რომ ულონოა გადამწყვეტ მატჩებში, საქართველოს ნაკრებს არ შეუძლია ქომაგისთვის იმედის დატოვება.

შაბათს თბილისში დაჩოქებულ ალბანეთთან საქართველომ გუშინ აგრესიულად დაიწყო, თუმც სტუმართა აფეთქებამ ხუთიოდ წუთს გასტანა, სამი კუთხური და ერთი გაცუდებული ჯარიმა ჩაიტია, ეს კი, ცხადია, საკმარისი არ აღმოჩნდა ქუდდახურული ბრიგელის გუნდის დასამარცხებლად. ჟორდანიას სამწყსომ გუშინ მხოლოდ ის იცოდა, თუ როგორ დაეჭირა ბურთი საკუთარ ნახევარზე, ალბანეთმაც იცადა და მშვიდად დაელოდა თავის ჯერს. მეორე ტაიმის დებიუტში, ხუთწუთიან მონაკვეთში სტუმარს საკეთებელი მოლეული ჰქონდა. განსაკუთრებით შეურაცხმყოფელი მეორე გოლი იყო. უდარდელი ტურისტივით გაისეირნა იგლი ტარემ ქართველებში და ცარიელ კარში შეაგორა ბურთი, ამ დროს თითქოს გაბრაზდნენ კიდეც ქართველები და მოედანზე სამი წუთისთვის შემოსულმა გიორგი ქინქლაძემ შოთა არველაძეს გაატანინა. ის შეტევა მართლაც ლამაზი იყო და ცოტა იმედისმომცემიც, რადგან შეხვედრის დასრულებამდე ჯერაც ბევრი დრო იყო და ლოგიკურად ქართველებს ჟინი და მოტივაცია უნდა გამძაფრებოდათ. მაგრამ ჟორდანიას გუნდი ვერც მოედანზე დალაგდა და ვერც სათადარიგოთა სკამზე. მატჩის რუმინელი არბიტრი ალბათ, დიდხანს გაიხსენებს თუ როგორ გაამევა სათადარიგოთა სკამიდან თავისიანებთან ჩხუბის ამტეხი მოთამაშე. ასეთი რამ ფეხბურთში მართლაც იშვიათად ხდება. ქართველობამ მწვრთნელ-პრეზიდენტის გვერდით მუშტი კრივი გააჩაღა. ალბანელმა ოპერატორებმა ოპერატიულად დააფიქსირეს მუშტისმქნეველი გახოკიძე, მსაჯმა მოგვიანებით გასახდელისკენ რომ მიაბრძანა. რა იყო ეს, უდისციპლინობა? არაპროფესიონალიზმი? ერთიც და მეორეც და კიდევ სირცხვილი. ნუ ვიტყვით, რომ სათადარიგოთა სკამზე მომხდარმა ჩვენს გუნდზე უარყოფითად იმოქმედა, რომ ქართველებს აზროვნებაში კოკისპირულმა წვიმამ შეუშალა ხელი, ნურც ალბანელ ქომაგთა აგრესიულობაზე ვიწუწუნებთ, მათ მიერ ნასროლი დანა-ბოთლების გაზიდვას რომ ვერ აუდიოდა მსაჯი. საქართველომ მინიმუმიც ვერ შეძლო — ფრე ხომ ბოლო ადგილ-კალათას აგვარიდებდა. გუშინ ლოგიკური იყო „ქემალ სტაფაზე" გოლით გაბრუებული მაისურაგახდილი ალბან ბუშის გიჟური სრბოლა, ლოგიკური იყო, იმიტომ, რომ ჩვენი ბოლო ბოლოა.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| შვეიცარია | 7 | 3 | 3 | 1 | 13:11 | 12 |
| რუსეთი | 7 | 3 | 2 | 2 | 16:11 | 11 |
| ირლანდია | 7 | 3 | 2 | 2 | 10:9 | 11 |
| ალბანეთი | 8 | 2 | 2 | 4 | 11:15 | 8 |
| საქართველო | 7 | 2 | 1 | 4 | 7:11 | 7 |



ესპანეთი — უკრაინა. რაულის ორმა გოლმა ესპანეთს პორტუგალია გაუნაღდა



ალბანეთმა საქართველოს ზემოდან დახედა

## მატჩის შემდეგ

*გიორგი ნემსაძე:*

— აღელვებული, დაღლილიც ვარ და კომენტარის გაკეთება, ცოტა არ იყოს, მიჭირს.

— თავის შესაძლებლობების რამდენი პროცენტი აჩვენა ამ თამაშში საქართველოს ნაკრებმა?

— ალბათ, 50 პროცენტი.

— როგორ ფიქრობ, მოედნის ცენტრში გვაჯობეს ალბანელებმა?

— პირველ ტაიმში ვერა. ალბანელებს ნახევარდაცვაში რიცხობრივი უპირატესობა ჰქონდათ — ისინი ხუთნი იყვნენ, ჩვენ ოთხნი. შეცდომები გვქონდა, მაგრამ ეს რიცხობრივი უპირატესობით არ იყო განპირობებული.

*შოთა არველაძე:*

— წაგებას რას დააბრალებდი?

— სულელური შეცდომები დავუშვით. მეტოქეს პირველ ტაიმში საგოლე მომენტი არ ჰქონდა, მაგრამ რევაზ ქემოკლიძე დაიმტვრა და...

— შესვენებაზე მწვრთნელებმა რა დავალება მოგცეს ფეხბურთელებს?

— შეტევაში უფრო აქტიურად ითამაშეთო, მაგრამ იმ შეცდომების გამო ხუთ წუთში ორი გოლი გავუშვით. მერე რისკიანი შეცვლები გავაკეთეთ, დაცვაში, ფაქტობრივად, ორი კაცი დარჩა და კიდევ ერთი გოლი გავუშვით.

— როგორ ფიქრობ, პირველი ტაიმი ნორმალურად ვითამაშეთ?

— მწვრთნელის დავალებებს ვასრულებდით, მაგრამ შეტევაში ნელა გადავდიოდით.

## 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

**I ჯგუფი**

ისრაელი 2:2 მალტა

სლოვენია 0:2 საფრანგეთი

**II ჯგუფი**

დანია 2:2 რუმინეთი

ლუქსემბურგი 0:1 ბოსნია

**III ჯგუფი**

მოლდოვა 2:1 ბელარუსი

ჩეხეთი 3:1 ჰოლანდია

**IV ჯგუფი**

ლატვია 3:1 უნგრეთი

პოლონეთი 0:2 შვედეთი

**V ჯგუფი**

ფარერები 1:3 ლიტვა

გერმანია 2:1 შოტლანდია

**VI ჯგუფი**

ჩრდ. ირლანდია 0:1 სომხეთი

ესპანეთი 2:1 უკრაინა

**VII ჯგუფი**

სლოვაკეთი 1:1 მაკედონია

ინგლისი 2:0 ლიხტენშტაინი

**VIII ჯგუფი**

ანდორა 0:3 ბულგარეთი

ბელგია 2:1 ხორვატია

**IX ჯგუფი**

სერბეთი 1:1 იტალია

უელსი 1:1 ფინეთი

## ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი შესარჩევი ეტაპი

**III ჯგუფი**

მოლდოვა 0:2 ბელარუსი

**VII ჯგუფი**

სლოვაკეთი 5:1 მაკედონია

## ავსტრია

ბუნდესლიგა. VIII ტური

ავსტრია 1:0 პაშინგი

მატერსბურგი 0:1 ზალცბურგი

## ისლანდია

თასის ნახევარფინალი

ჰაფნარფიორდური 3:2 რეიკიავიკი

## ამხანაგური მატჩები

ნორვეგია 0:1 პორტუგალია

იაპონია 0:1 სენეგალი

## გერმანია

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა V ტური

დინამო 3:0 ვუპერტალი

კალათბურთი

## ევროპის ჩემპიონატი მეოთხედფინალი

საფრანგეთი 76:69 რუსეთი

ლიტვა 98:82 სერბეთი

2004 წლის ევროპის ჩემპიონატის X შესარჩევი ჯგუფი
ჩვენი მეტოქე

# საქართველოსთან ქულებს ბრიყვი თუ დაკარგავს

**ეს მატჩი** ძალიან ჰგავდა შარშანდელ რუსეთ — ირლანდიას. ახალი მწვრთნელი, ოთხი გოლი სტუმართა კარში, გახარებული რუსეთი და მოედანზე მოხტუნავე ფეხბურთელები. იგივე მოხდა მოსკოვში ირლანდიის დამარცხების შემდეგ. სამწლიანი უმუშევრობის კვალობაზე გიორგი იარცევს, როგორც ჩანს, მწვრთნელობა მონატრებია და ვალერი გაზაევის დაშლილი თავისებურადააწყო. შედეგმა არ დააყოვნა — ორ მატჩში ოთხი ქულა და სულ მცირე მეორე ადგილის დაკავების კარგი შანსი.

წელიწადში ერთხელ თავკაცის გამოცვლა რუსთა ნაკრებზე ასე კარგად თუ მოქმედებს, კოლოსკოვის საქმე აწყობილი ყოფილა. ყოველ შემოდგომაზე ახალ სპეციალისტს დანიშნავს და ნაკრებიც საჭირო თამაშს მოიგებს. ჩვენთან სეზონში მწვრთნელებს ხან სამჯერ ცვლიან, მაგრამ...

შარშან ირლანდიასთან გამარჯვებას ვალერი გაზაევისა და მისი მხლებლების ხვევნა-კოცნა-მილოცვა მოჰყვა. იარცევი იგივეს მოერიდა. ნამატჩევს პიჯაკზე ექაჩებოდნენ, ის კი თავქუდმოგლეჯილი გაიქცა.

მისი ნაკრებიც ასე თავქუდმოგლეჯილი უტევდა, თუმც შეხვედრის დასაწყისში მასპინძლებს აშკარად გაუჭირდათ. განსაკუთრებით კარიაკასგან საკუთარ კარში ჩაჭრილი ბურთის შემდეგ აირივნენ. მერე კი ისე დააწიოკეს მეტოქე, უფრო დიდი ანგარიშით მოგებაც შეეძლოთ.

იარცევმა მოსტოვოის, სოლომატინს, რადიმოვს უხმო და არ შემცდარა. თამაშის ორგანიზება, რასაც გაზაევის ნაკრებს უწუნებდნენ, „სელტას" ლეგიონერმა ითავა. ვლადისლავ რადიმოვმა ბოლოს ეროვნულ გუნდში ხუთი წლის წინ ითამაშა, მაგრამ მისი გარჯა რუსეთს ახლაც წაადგა.

ახალმა მწვრთნელმა მარჯვენა მცველად სმერტინი გაამწესა და სტუმართა ერთადერთი გოლიც სწორედ ფლანგსმიუჩვეველი პორტსმუთელის შეცდომას მოჰყვა. თანაგუნდელის დაზღვევა კარიაკამ გადაწყვიტა, დასწრებაზე ითამაშა და ბურთი საკუთარ კარში შეაგდო. სტადიონი გაისუსა, მაგრამ სრულიად რუსეთის მხსნელად დიმიტრი ბულიკი მოევლინა.

მოსკოვის „დინამოს" ფორვარდმა პირველი გოლისას ალექსანდრ კერჟაკოვის მონდომება დააფასა. კერჟაკოვმა ცუბერბიულერს საჯარიმოს ხაზთან ბურთი არ დაანება და გუსევს უბოძა. გუსევმა ბულიკინი მოძებნა და დინამოელმაც კარში ცუბერბიულერის დაბრუნებამდე თავურით გაათანაბრა.

ამის შემდეგ რუსობამ თავისი ძალაა ირწმუნა. მოსტოვოიმ და რადიმოვმა ცენტრი მიითვისეს, ფლანგებზე კარიაკა და გუსევი აენთნენ, ბულიკინმა კი კერჟაკოვთან ერთად შვეიცარიელი მცველები შეაწუხა.

სტუმრებისთვის ეს მოულოდნელი გამოდგა და შეცდომებს უმატეს. შედეგად კერჟაკოვმა ორჯერ დაურტყა ცუბერბიულერს. პირველი კარს ასცდა, მეორე კი მეკარემ გაჭირვებით მოიგერია.

მასპინძლებმა მეტოქეს დაბნეულობა შეამჩნიეს და ზეწოლას უმატეს. კარიაკამ თავის სარეაბილიტაციოდ იმდენი ირბინა და იწვალა, ბარე ორ მატჩს ეყოფოდა. ერთ ეპიზოდში მან ბულიკინს კარგი პასიც გაუჩარხა, მაგრამ შვეიცარიელმა მეკარემ იყოჩაღა. კარიაკას წამოწყებული მეორე შეტევა „დინამოს" ფორვარდმა დააგვირგვინა. ბულიკინმა ბურთი მკერდზე დაასვენა, ჯერ ორ მცველს დაუსხლტა, მესამეც ჩამოიტოვა და ცუბერბიულერიც უსაქმოდ დატოვა.

იაკობ კუნის შეგირდები გაზრებულად შეტევას ვეღარ ახერხებდნენ. მათ იერიშებს საჯარიმოს მისადგომებთან მცველები ელობებოდნენ. სტუმრებმაც შორიდან დარტყმებს უხშირეს. ბურთი უმეტესად



REUTERS

რუსთა გამარჯვებაში დმიტრი ბულიკინმა (№9) წილი სამი გოლით დაიდო

კარის ჩარჩოს სცდებოდა და ოვჩინიკოვიც არ დაღონებულა.

შესვენების შემდეგ შვეიცარიამ ტემპს უმატა და გათანაბრება მოიწადინა. სტუმართა თამაშში სიახლე არ შეიმჩნეოდა. საპირველტაიმო სცენარმა შედეგი არ გამოიღო.

მეორე ტაიმის დაწყებიდან თხუთმეტ წუთში რუსებმა მესამე გაიტანეს. კერჟაკოვმა მახვილი კუთხიდან დაჰკრა, ცუბერბიულერმა კი კუთხურზე მოიგერია. კუთხურიდან მოსტოვოიმ ჩააწოდა და ბურთი ბულიკინს თავზე დაასვა. „დინამოს" თავდამსხმელმა თავისი ჰეთ თრიქით „ლოკომოტივის" სტადიონზე შეკრებილნი გადარია.

მესამე გოლმა ჯგუფის ლიდერი მთლად აწეწა. მოედანზე ჯერ იზმაილოვის, მერე სიჩოვის შესვლამ რუსთა შეტევები კიდევ უფრო მრავალფეროვანი გახდა. განსაკუთრებით იზმაილოვი გამოირჩეოდა, რომელმაც მარჯვენა ფლანგზე მეურვე გაასაცოდავა.

მთელი მატჩის განმავლობაში მოუღლელ კერჟაკოვს გარჯა მოსტოვოიმ დაუფასა. ზენიტელის მაღალ პასს „სელტას" ლეგიონერმა მოხდენილი თავური დაჰკრა და საწყალი ცუბერბიულერი არც კი შეტოკებულა. 4:1-მა მასპინძლებს გამარჯვება ფაქტობრივად დაუბევა. მატჩის მიწურულს მარცხით განრისხებულმა ფოგელმა ისლა მოახერხა, რომ რადიმოვს ცხვირპირში ხელი ჰკრა და კოლინასგან წითელი ბარათი მიიღო.

რუსებს თამაშის სათავისოდ დასრულება აღარ გასჭირვებიათ და ისინი ახლა პორტუგალიაში წასასვლელ შანსებს ითვლიან.

ნამატჩევს *იარცევმა* თქვა: „შვეიცარიელთა გამოცდილმა, ტექნიკურმა და განსწავლულმა ნაკრებმა ჩვენთან ვერაფერი გააწყო. მათთან შედარებით უარეს ვითარებაში ვიყავით, რადგან მხოლოდ გამარჯვება გვჭირდებოდა, მეტოქეს კი ქულის აღებაც ხელს აძლევდა. მოხარული ვარ, რომ ასე მცირე დროში ისეთი ბიჭების შემოკრება შევძელი, რომლებიც ნებისყოფით და თავდადებით გამოირჩევიან, თან ნებისმიერი მატჩისთვის სათანადოდ განწყობაც შეუძლიათ. ირლანდიაშიც და აქაც გოლი პირველებმა გავუშვით, მაგრამ ხასიათის სიმტკიცე გამოავლინეს. ორ მატჩში ოთხი ქულა, ვფიქრობ რომ კარგი შედეგია. ახლა, როცა ამ კრიტიკული მდგომარეობიდან გამოვედით და წელში გავიმართეთ, საქართველოსთან ქულების დაკარგვა სიბრიყვე იქნება."

**ვაჟა ხუციშვილი**

## რუსეთი 4:1 შვეიცარია

0:1 კარიაკა (12ს.კ.), 1:1, 2:1, 3:1 ბულიკინი (20, 33, 59), 4:1 მოსტოვოი (72)
**რუსეთი:** ოვჩინიკოვი, რადიმოვი, სოლომატინი (სენიკოვი 46), სმერტინი, კარიაკა, იგნაშევიჩი, ონოპკო, გუსევი (იზმაილოვი 58), ბულიკინი, მოსტოვოი, კერჟაკოვი (სიჩოვი 77)
**მწვრთნელი:** გიორგი იარცევი
**შვეიცარია:** ცუბერბიულერი, მეიერი, ბერნერი (ვიკი 71), ანშო, მ. იაკინი, ფოგელი, კაბანასი, მიულერი (ჰუგელი 64), ფრეი (რამა 79), ხელესტინი, შაპუიზა
**მწვრთნელი:** იაკობ კუნი
**გაძევება:** კაბანასი (89)
**მსაჯი:** პ. კოლინა (იტალია)
29 000 მაყურებელი



REUTERS

ჩეხეთი — ჰოლანდია. ედგარ დავიდსმა იმდენი მოახერხა, მე-13 წუთზე გააძევეს

# პორტუგალია და ოთხი მუშკეტერი

**ევროშესარჩევის** ბოლოსწინა ტურმა ბებერი კონტინენტის საფეხბურთო ფორუმის ოთხი მონაწილის ვინაობა გაარკვია. მასპინძელ პორტუგალიას გუშინ საფრანგეთი, ჩეხეთი, შვედეთი და ბულგარეთი შეუერთდნენ. ფორმალობის ამბავია იტალიელთა სტატუსი. წარმოუდგენელია, გუშინ სერბებთან დაზავებულმა აპენინელებმა ბოლო ტურში შინ აზერბაიჯანს ვერ მოუგონ და ჯგუფში პირველი ადგილი დაკარგონ. ცალი ფეხით ევროპის ჩემპიონატზეა შოტლანდიის მძლეველი გერმანიაც.

როგორც იქნა, ჯგუფში პირველ ადგილზე აცოცდა ინგლისი. ბრიტანელებმა ოუენის და რუნის გოლები იკმარეს უსუსურ ლიხტენშტაინთან და ამ ამბავში საოცარი ის არის, რომ ინგლისმა 50 წუთის მანძილზე ვერ გაუტანა გოლი ჯუჯა მეტოქეს. საკვირველია ისრაელი — მალტას 2:2-იც. აუტსაიდერმა კუნძულელებმა ისტორიული ქულის აღება შეძლეს უბერებელი კარმენ ბუზუტილის წყალობით.

საპლეიოფო შანსი გაიჩინა ლატვიამ უშუალო კონკურენტის, უნგრეთის ძლევით, უკრაინა კი ესპანეთში მარცხისაგან შევჩენკოს გოლმაც ვერ იხსნა. დანიამ ბოლო წუთზე გაუთანაბრა რუმინეთს და ამ ჯგუფში ერთობ ჩახლართული ვითარებაა, საევროპოდ ერთბაშად ოთხ გუნდს აქვს შანსი.

გუშინდელმა დღემ ერთი უპასუხო კითხვაც დატოვა — როდის გაიტანს გოლს ჩრდილოეთ ირლანდია? კუნძულელები ორ წელზე მეტია, რაც ამის გაკეთებას ცდილობენ.

**პაატა ძმანტალიანი**

# რატომ ითხელებთ ჯიბეს?

## ელაპარაკეთ ჟურნალისტებს, ნუ ელაპარაკებით ტრიბუნებს

**სამშაბათს** ალბანეთში შერცხვენილ რევაზ არველაძეს თბილისში მცირე უსიამოვნება ელის. ახალგაზრდული ნაკრების და „ლოკომოტივის" თავკაცს 200-ლარიან ჯარიმას დააზვედრებენ. ეს ამბავი სადისციპლინო კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე გაცხადდა. მიზეზი „ტორპედო" — „ლოკომოტივის" მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე არველაძის მიუსვლელობაა. ჩვენი საფეხბურთო კოდექსით, პრესკონფერენციის გაცდენისთვის მწვრთნელებს 100 ლარით აჯარიმებენ, მაგრამ არველაძეს ზედიზედ ორი გაცდენა დაუგროვდა, ამიტომაც დისციპლინარებმა ჯარიმად 200 ლარი გამოუწერეს.

„დილა" — „თბილისის" მატჩის შემდეგ ჟურნალისტებთან არ გამოცხადდა სტუმართა თავკაცი ნიკოლოზ დოლიძე. იგი 100 ლარით დააჯარიმეს.

დისციპლინარებმა გუშინდელი შეკრებისას უმაღლესი და პირველი ლიგიებს ბოლო ტურებში მომხდარ სხვადასხვა დარღვევაზეც იმსჯელეს. „დილას" მწვრთნელ-ფეხბურთელი დაუსაჯეს. ზურაბ ხორგუაშვილს და ალეკო კაიდარაშვილს თითო მატჩიანი და 50-ლარიანი სანქცია დაადეს. ასე დასაჯეს ბათუმელი ქაცარავაც.

ორი მატჩით მოცდება მცხეთელი შემტევი ჩილვინაძე. „სპარტაკ" — „მცხეთას" მატჩში მან ლამაზი გოლით დააწინაურა თავისიანები, თუმცა შემდეგ მასპინძლებმა თამაშის სათავისოდ მოტრიალება მოახერხეს. მომხდარში მცხეთელებმა მატჩის არბიტრი გურამ ასკაროლლი დაადანაშაულეს და საფინალო სასტვენის წინ საქმის გარჩევა დაუწყეს. ყველაზე მეტს სწორედ ჩილვინაძე აქტიურობდა, მან მამაპაპურად შეამკო ქარელელი მსაჯი და ორმატჩიან დისკვალიფიკაციასთან ერთად 100 ლარითაც შეითხელებს ჯიბეს.

უსკანდალოდ არ ჩაუვლია ბოლო ტურის მატჩს გორში. „დილა" — „სიონის" შეხვედრისას „ჯუნგლებმა" ბოლნისელი მეკარე ავთანდილ ლაბაძე, როგორც იტყვიან, მაგრად ააგდეს. ლაბაძე პროვოკაციას წამოეგო და გულშემატკივრებს აჰყვა გინებაში, შედეგად ორმატჩიანი და 100-ლარიანი ჯარიმით დაისაჯა.

დისციპლინარებმა პირველ ლიგაშიც „გაჭრეს ფული." „ვიტ ჯორჯია-მცხეთა" — „ოლიმპის" მატჩისას ნერვებმა უმტყუნა ვიტელთა ერთ-ერთ მწვრთნელს, კალმახელიძეს. მის მიერ მსაჯის გინება 100 ლარად და ორმატჩიან დისკვალიფიკაციად გაფორმდა.

„ლოკომოტივი 2" — „ვიტ ჯორჯია-მცხეთას" შეხვედრაში ლემონჯავამ და კვახაძემ ხმაშეწყობილად აგინეს მსაჯებს. ვიტელთა დუეტი მკაცრად დაისაჯა — სამ-სამი მატჩით და 150-150 ლარიანი ჯარიმით.

**ბაათა ძმანტალიანი**



რევაზ არველაძეს ჯიბეზე ხელის გაკვრა მოუწევს


# სიახლე საქართველოში!

საუკეთესო ხარისხის სპორტული ფორმის (ტრუსები, მაისურები) დამზადება გნებავთ, თქვენი სურვილისამებრ, გნებავთ თქვენს მიერ კატალოგში შერჩეული ესკიზით





ნომრები სპორტულ მაისურებზე, ნარნერები...
სპორტული ატრიბუტიკა: დროშები, ვიმპელები...
საცალო და საბითუმო ფასებში

## სარო-არტპრინტი

ვაჟა ფშაველას 91

53-76-82 899 56-18-49


საქართველოს **პირველი** ლიგის 15 ჩემპიონატი, პირველი ეტაპი

# 4 ტური



# ნავსი ხალასთა ხალისით გატყდა

თბილისი. 10 სექტემბერი. 17 საათი. ეროვნული. 200 (ტევადობა 70 900)

## ამერი 2:0 იბერია

1:0 რუსია (62), 2:0 კუსრაშვილი (66)

**ამერი:** ასლანაძე, კიდელაშვილი, ელბაქიძე, ჩიხრაძე, მჭედლიშვილი (ლუდუშაური 46), ბჟალავა, კუსრაშვილი, ბერიანიძე (გოცირიძე 69), წინამძღვრიშვილი (რუსია 46), განუგრავა, ვერემჩუკი
**მწვრთნელი:** გაიოზ დარსაძე

**იბერია:** დერევიანჩენკო (ხარშილაძე 73), ზ. ლაცაბიძე, მელაძე, ლ. ლაცაბიძე, მნათობიძე, გოგილაძე, თ. ხაჩიძე, ბლიაძე, ულუმბელაშვილი (დ. ხაჩიძე 46), ჯაფარაშვილი (მეტრეველი 69), ბაქრაძე
**მწვრთნელი:** თენგიზ ოსაძე

**გაფრთხილება:** რუსია

**მსაჯი:** ზურაბ ანიაშვილი

**პაპუნა კედია**

**„ამერმა"** პირველი თამაში მოიგო — პირველი ტურის გადადებული შეხვედრა ხაშურის „იბერიასთან". ამ მატჩში ის გუნდი იყო, სახე ჰქონდა და იერი, „იბერიასთვის" კი ოთხშაბათის 17-19 საათებს შორის მონაკვეთი საუკეთესო ვერაფრით იქნებოდა.

თუმცა, შევეცადოთ ამბავი დალაგებით მოვყვეთ:

მასპინძელთა შემადგენლობა პირველ ორ შეხვედრასთან შედარებით გადახალისებული დაგვიხვდა. ადრეც გვითქვამს, რომ თბილისის ახალდაარსებულ კლუბში ერთმანეთის მხარდამხარ ძალიან ახალგაზრდები და ძალიან გამოცდილები თამაშობენ, ამიტომ ადამიანი უნებურად მათ თანაფარდობას ანგარიშობს. „იბერიასთან" „ამერის" მწვრთნელს გაიოზ დარსაძეს გამოცდილთა ცოდნა უფრო დაცვაში დასჭირვებია, ნახევარდაცვა და თავდასხმა კი ყმაწვილებით ჰქონდა აწყობილი. იმაში ჩაღრმავებას, თუ წინა შეხვედრებთან შედარებით რომელ ამერელს როგორ ჰქონდა ფუნქცია შეცვლილი, აქ ცხადია, არ მოვყვებით, ვინაიდან ეგრეთ წოდებული ფართო მკითხველისთვის სულერთია, იმას კი მოგახსენებთ, რომ თბილისელთა შორის მოედანზე პირველად იყვნენ ფარნა კუსრაშვილი და ჯაბა ბერიანიძე, ხოლო თავდამსხმელი რატი წინამძღვრიშვილი სასტარტოში გახლდათ პირველად.

ყმაწვილთა ნდობამ მწვრთნელს გაუმართლა, გუნდის მოქმედებებში შეინიშნებოდა „შეთამაშებული და დამუშავებული" სიმწყობრე, ერთშეხება გადაცემები და გადაადგილებები, რითაც ცალკეულ ეპიზოდებში ამერელები დროსა და სივრცეს იგებდნენ.

ერთი სიტყვით, უპირატესობა როგორც შესვენებამდე, ასევე შესვენების მერე მასპინძლებისა გახლდათ, თუმცა მათთვის მეორე ტაიმი პირველს სჯობდა — ბუნებრივია, რადგან გოლები გაიტანეს.

პირველ ნახევარში „ამერს" ორი გამორჩეული მომენტი ჰქონდა: კუსრაშვილის პასით წინამძღვრიშვილის დარტყმა და ვერემჩუკის გარღვევის შემდეგ ბერიანიძის მიერ ბურთის მეტოქის კარიდან გამოგდება (?!). იყო რამდენიმე ნაკლებად მწვავე ეპიზოდიც.

და პირველ ტაიმშივე შეეძლო გოლის გატანა „იბერიას", როდესაც თანაგუნდელის გამჭრიახმა, ქუსლით მიწოდებულმა პასმა კაპიტანი ილია გოგილაძე საგოლე პოზიციაზე გაიყვანა, მაგრამ მისი დარტყმა მეკარე დავით ასლანაძემ მოიგერია.

შესვენების შემდეგ კი „ამერის" შეტევები გამწვავდა — მოედანზე გამოჩნდა გამოცდილი მამუკა რუსია, რომელიც იმთავითვე სამჯერ შეიჭრა სტუმართა საჯარიმოში და სამივე შეჭრა მისი დავარდნით დასრულდა, ხოლო მსაჯმა მიიჩნია, რომ თავდამსხმელს მისთვის პენალტის გამოტყუება სურდა. ერთი სიტყვით, რუსია გააფრთხილეს.

ამის შემდეგ კი „ამერმა" ორი გოლი გაიტანა. 62-ე წუთზე კუსრაშვილის პასით მეკარესთან დაპირისპირებული რუსია ამჯერად გამარჯვებული გამოვიდა, ხოლო სამი წუთი რომ გამოხდა, თავად კუსრაშვილმა გაიტანა ულამაზესი გოლი: საჯარიმოსთან არცთუ ახლოს ბურთი წამში დაიმორჩილა, მყისიერად შენიშნა, რომ ხაშურელთა მეკარე ბორის დერევიანჩენკო ოდნავ წინ იყო გამოსული და შემდეგი მოძრაობით ისეთი გოლი შეაგდო, რომელიც ესთეტიკით კალათბურთის სამქულიანს ჰგავდა.

შემდეგ, 71-ე წუთზე სტუმრებს ჰქონდათ ასეთი მომენტი: მარცხენა ჯარიმიდან აწეულ ბურთს თავი ჰკრეს, მაგრამ ასლანაძემ იყოჩაღა, ხოლო დასასრულს ამერელ ბჟალავას შეეძლო თავისი ჩინებული წამოწყების მესამე გოლით დასრულება, მაგრამ პირისპირ შესულმა დარტყმას მარილი და ღონე დააკლო.

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე *დარსაძემ* განაცხადა:

„შედეგი ყოველთვის მნიშვნელოვანია, მაგრამ ამჯერად პატარა ბიჭების კარგი თამაში უფრო მახარებს, რადგან ჩვენი მთავარი მიზანი მათი აღზრდაა. მართალია, ვეტერანების დასვენება და მათ ნაცვლად ამ ბიჭების გამოყვანა რისკთან იყო დაკავშირებული, მაგრამ ფეხბურთი რისკის გარეშე არ არსებობს, თან, როდესაც მათი ასაკის ფეხბურთელებით პირველი ლიგის შეჯიბრებაში ერთვები, იმთავითვე რისკავ."

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თსუ | 4 | 3 | 1 | 0 | 8:2 | 10 |
| ოლიმპი | 4 | 3 | 1 | 0 | 7:4 | 10 |
| ქობულეთი | 4 | 3 | 0 | 1 | 8:3 | 9 |
| გორდა | 4 | 3 | 0 | 1 | 8:6 | 9 |
| სამგურალი | 4 | 2 | 2 | 0 | 5:2 | 8 |
| ცხინვალი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:1 | 7 |
| დინამო 2 | 4 | 2 | 0 | 2 | 8:7 | 6 |
| გურია | 4 | 2 | 0 | 2 | 4:4 | 6 |
| ლუკა | 4 | 2 | 0 | 2 | 3:4 | 6 |
| ვიტ ჯორჯია-მცხ. | 4 | 1 | 1 | 2 | 2:3 | 4 |
| მილანი | 4 | 1 | 1 | 2 | 2:3 | 4 |
| იბერია | 4 | 1 | 1 | 2 | 3:7 | 4 |
| ამერი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:4 | 3 |
| ლოკომოტივი 2 | 4 | 1 | 0 | 3 | 2:5 | 3 |
| მეტალურგი | 4 | 0 | 0 | 4 | 2:7 | 0 |
| ჩიხურა | 4 | 0 | 0 | 4 | 1:8 | 0 |



პირველ ლიგაში „ამერის" პირველი გოლი მამუკა რუსიამ გაიტანა

# 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. სამხრეთ ამერიკა

## არგენტინამ ჭკუა ისწავლა და ასწავლა


ერნან კრესპოს გამჩერებელი ვენესუელელთაგან არავინ იყო

**ვენესუელა 0:3 არგენტინა**

0:1 აიმარი (6), 0:2 კრესპო (25), 0:3 დელგადო (30)

ვენესუელა: ანხელუჩი, ჰ. გონსალესი (ვალენილა 45), რეი, ალვარადო, ხორხე როხასი, ლუის ვერა, ხიმენესი, პაესი, არანგო (მორენო 61), ნორიეგა, მორანი (ურდანეტა 45)

მწვრთნელი: რიჩარდ პაესი

არგენტინა: კაბალიერო, ცივასი, აიალა, პლასენტე, ხ. ძანეტი, ვერონი, კილი გონსალესი, აიმარი (პაინცე 63), დალესანდრო (გონსალესი 85), ხ. დელგადო (ალმეიდა 81), კრესპო

მწვრთნელი: მარსელო ბიელსა

გაფრთხილება: ალვარადო, არანგო, ვერონი, აიალა

მსაჯი: მარტინ ვასკესი (ურუგვაი)

გუშინწინ მარსელო ბიელსას არგენტინის ნაკრებმა ჩილელებთან სამი დღით ადრე განცდილი დასანანი ფრე ვენესუელას ეროვნული გუნდის განადგურებით აინაზღაურეს. პატაგონიელები კარაკასის „ესტადიო ოლიმპიკოს“ მინდორს თავიდანვე გამარჯვების დაუძლეველი სურვილით შეესივნენ და ადგილობრივთა წინააღმდეგობის მიუხედავად, მთელი ორი ტაიმის განმავლობაში თამაშის სადავეები ხელიდან არ გაუშვიათ. უკვე მატჩის მეექვსე წუთზე ანგარიში სტუმართა სასარგებლოდ გაიხსნა — ანხელუჩის კართან შექმნილი დიდი არეულობის შემდეგ, რომლის მთავარი მოქმედი პირნი სეზარ დელგადო, ერნან კრესპო და პაბლო აიმარი იყვნენ, საბოლოოდ ამ უკანასკნელმა ივარგა და ტაბლოზე 1:0 დააფიქსირა.

ვენესუელთა დაცვას საზრუნავსაწუხარი არც ამის შემდეგ მოჰკლებია. რიჩარდ პაესის შეგირდები ბევრს ცდილობდნენ, მაგრამ პატაგონიელი ფორვარდების შეჩერება ვერაფრით მოახერხეს. 23-ე წუთზე აიმარმა სახიფათოდ გაისროლა, თუმცა კი მიზნამდე მცირედი დააკლდა. ორი წუთის შემდეგ მისი საქმე დელგადომ და კრესპომ დააგვირგვინეს — „ჩელსის“ ახალმა შენაძენმა კომპანიეროს კარგი პასით ისარგებლა და მეორე გოლი გაიტანა. კრესპოს გოლმა „ესტადიო ოლიმპიკოს“ ადგილობრივი ფანობა ფრიად დაალონა, თუმცა წინ თურმე უარესი გულისტკენაც ელოდებოდათ — სესარ დელგადო, რომელმაც თავი ორ საგოლე ეპიზოდშიც გამოიჩინა, ამჯერად მეტოქის დაცვას მარტო შეება და რამდენიმეს გაბაიბურების შემდეგ მეკარე ანხელუჩი საკუთარ კარში ბურთის მოსაძებნად შეაგზავნა (მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად სწორედ დელგადო დაასახელეს).

არგენტინელებს იერიშები არც პირველი ტაიმის შემდეგ შეუწყვეტიათ. კრესპოს და კომპანიას „მონუმენტალის“ ჩილიური პერიპეტიები მშვენივრად ახსოვდათ და „ოლიმპიკოზე“ მსგავსი უგულისყურობა აღარ გამოუჩენიათ. თამაშის მეორე ნახევარიც იგივე ტემპით წარმართეს, თუმცა გოლი მეტი ველარ გაიტანეს. ვენესუელამაც ვერაფრით იხეირა — 3:0 არგენტინის ნაკრების სასარგებლოდ. მარსელო ბიელსას მოწაფეები მომდევნო შეხვედრას 2006 წლის მუნდიალის შესარჩევში ბუენოს აირესში ჩაატარებენ ბოლივიელებთან. ახლა კი ორი მატჩის ჯამში 4 ქულას ითვლიან.

**ლადო ხომერიკი**

## პრეზიდენტით და ნაზირ-ვეზირებით

**ჩილე 2:1 პერუ**

1:0 პინილია (35), 1:1 მენდოსა (56), 2:1 ნორამბუენა (69)

ჩილეს ნაკრები გერმანიის მუნდიალის შესარჩევებში შესანიშნავ სვლას განაგრძობს. რამდენიმე დღის წინ არგენტინის გუნდს მისივე „მონუმენტალზე“ თითქმის ასპროცენტიანი მოგება საბრძოლო ფრედ უქცია, გუშინწინ კი პერუს გაუშვა სანტიაგოს „ესტადიო ნასიონალიდან“ დალონებული. თამაშის საყურებლად 60 ათასი ინჩასი მივიდა — მათ შორის რესპუბლიკის პრეზიდენტი რიკარდო ლაგოსი თავისი მინისტრებით, პარლამენტარებით თუ სხვა პატივცემული ნაზირ-ვეზირებით. მოკლედ, ერი თუ ბერი მეზობელ პერუელებთან ფრიად დიდწინასაგამარჯვებო ეიფორიას აეტანა.


ჩილეს გამარჯვებისა არტურო ნორამბუენამ გაიტანა

პირველი ტაიმი მომხვდურთა იერიშებით დაიწყო. სოლანო და პალასიო მარჯვედ უტევდნენ, თუმცა ჩილელთა დაცვა მაგრად იდგა. ვერც პიზარომ მოახერხა ნელსონ ტაპიას კართან სერიოზული ხიფათის შექმნა და ვერც მენდოსამ. ჩილელები კი, მიუხედავად იმისა, რომ უკანა ხაზზე გვარიანად ბურთაობდნენ, საპასუხო იერიშებისას საკმაოდ სუსტად გამოიყურებოდნენ. ასე გაგრძელდა მანამ, სანამ მილოშევიჩი (მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი) მოედნის ცენტრში „გაბატონდებოდა“ და თანაგუნდელების მომარაგებას დაიწყებდა დროული პასებით. პერუელთა მეკარე ერიკ დელგადო ამ სიახლემ გვარიანად შეაწუხა, მაგრამ მასპინძლებმა 35-ე წუთამდე ანგარიშის გახსნა მაინც ვერ შეძლეს. პირველი გოლი კი ასე გავიდა: აკუნიამ მარცხენა ფლანგზე ჩააწოდა, როდრიგო პერესმა უმალ პინილიას გადააწოდა, იმან კი ბურთს ელვათავური დაჰკრა — 1:0. პირველი ტაიმი ასე დასრულდა.

დაიწყო მეორე ნახევარი და 5 წუთი ისე მიილია, ჩილელებს ბურთი საერთოდ არ მიუღიათ. ანგარიშის გათანაბრების წყურვილმა პერუს თავგანწირული შეტევებისკენ უბიძგა. საწადელს მალევე მიაღწიეს — სეგარამ მენდოსა 50-მეტრიანი პასით ახეირა, იმან კი მარცხენა ფლანგზე მცირე ჟონგლირების შემდეგ ტაპია ოდენ გოლის მეთვალყურედ დატოვა — 1:1. თუმცა ამ მატჩს ფრედ დასრულება არ ეწერა, რასაც ჩილელი ფანების ჯოჯოხეთური ღრიანცელიც უწყობდა ხელს.

69-ე წუთზე დევიდ პიზაროს საჯარიმოს შემდეგ არტურო ნორამბუენამ კვლავ თავით გაიტანა — 2:1. მართალია, შეხვედრის ბოლოს მენდოსა ისევ შეეცადა გათანაბრებას, მაგრამ მისი იერიში მასპინძელთა დაცვის შეუვალობამ და სათამაშო დროის ამოწურვამ ალკვეთეს.

**ლადო ხომერიკი**

**რუსეთი**

**ლიგის თასის ფინალი**

**პირველი მატჩი**

## ეს მოხდა პეტერბურგში

### გერმან ზონინმა 77-ს მიუკაკუნა

**ზენიტი 3:0 ჩერნომორეცი**

1:0 ნიკოლაევი (23), 2:0 კონოპლიოვი (30), 3:0 ბისტროვი (65)

გაძევება: ივანოვი (15, ზენიტი)

**რუსული** პრემიერლიგის დაფუძნების შემდეგ ლიგის თასის გათამაშებაც დაიწყო. წლევანდელ ფინალში სანკტ პეტერბურგის „ზენიტმა“ და ნოვოროსიისკის „ჩერნომორეცმა“ გააღწიეს.

ზღვისპირელებმა ფინალამდე პროვინციელები ჩამოიშორეს — „როსტოვი“, ვლადიკავკაზის „სპარტაკ-ალანია“ და იაროსლავის „შინიკი“. აღსანიშნავია, რომ „ჩერნომორეცმა“ სამივე გუნდთან სტუმრად გამართულ მატჩებში ფრეს მიაღწია, შინ კი მეტოქეები ერთბურთიანი სხვაობით დაამარცხა.

პეტერბურგელებს მოსკოველები შემოელახნენ. ჯერ ცსკა „მოხსნეს“, მერე „სპარტაკი“ და „ტორპედო“. „ზენიტმა“ გაცილებით რთული გზა გაიარა და ჩემპიონატშიც ნოვოროსიისკელებზე უკეთესად გამოიყურება. ზღვისპირელებმა გასულ ზაფხულს ცხრილის ფსკერზე დაიწყეს და მათ მწვრთნელის შეცვლამაც დიდად ვერ უშველა.

სანკტ პეტერბურგში „პეტროვსკის“ სტადიონზე 10 ათასი მაყურებელი შეიკრიბა, „ზენიტმა“ კი მატჩის ბედი ნახევარ საათში გადაწყვიტა. პირველ ტაიმში სტუმრებს სანამ ორჯერ გაუტანდნენ, მასპინძელთა მეკარე გააძევეს. ტარას ბეზუბიაკმა ივანოვი საჯარიმოს გარეთ ხელით თამაშისთვის დასაჯა.

„ჩერნომორეცმა“ შეხვედრის დასაწყისშივე მიღებული უპირატესობა ვერ გამოიყენა. ივანოვის ნაცვლად კარში სლოვაკი ჩონტოფალსკი ჩადგა. იგი გაზაფხულზე მოსკოვის „დინამოსთან“ 1:7 დამარცხების შემდეგ „ზენიტის“ შემადგენლობაში აღარ გამოჩენილა.

ჩონტოფალსკი ნოვოროსიისკელებმა რამდენჯერმე შეაწუხეს. გამოსარჩევი კი მხოლოდ ვარლამოვის საჯარიმო დარტყმა იყო, რომელიც სლოვაკმა გაჭირვებით მოიგერია.

მასპინძლები მეკარის საიმედოობაში რომ დარწმუნდნენ, მეტოქეს გულიანად შეუტიეს და შვიდწუთიან მონაკვეთში მაქსიმ ლევიცკის ორჯერ გაუტანეს. ნიკოლაი ნიკოლაევმა ბისტროვის განივი გადაცემა შეირგო და უძლიერესად დაჰკრა. მალე კონსტანტინ კონოპლიოვმა მცველთა ჩათვლემით ისარგებლა და ბურთი ცარიელ კარში მშვიდად გამოამწყვდია — 2:0.

შესვენების შემდეგ ზენიტელთაგან ყველაზე გამორჩეულმა, 19 წლის მარჯვენაფლანგელმა ვლადიმირ ბისტროვმა ლევიცკი მესამედ დაალონა და კაცნაკლულმა დამხვდურებმა იკმარეს.

ეს გამარჯვება „ზენიტის“ ფეხბურთელებმა ყოფილ მწვრთნელს, ერთ დროს თბილისის „დინამოს“ თავკაც გერმან ზონინს მიუძღვნეს, რომელიც 77 წლისა მოიყარა.

საპასუხო შეხვედრა 10 ოქტომბერს ნოვოროსიისკში გაიმართება და საეჭვოა, რომ პეტერბურგელებმა სამბურთიანი ფორა ზღვას გაატანონ.

**ვაჟა ხუციშვილი**

**ამხანაგური მატჩები**

**ირლანდია 2:2 თურქეთი**

1:0 კონოლი (35), 1:1 შუქური (51), 1:2 ილმაზი (86), 2:2 დანი (90)


ირლანდიელებს საგოლედ ჰაკან შუქურმა უთავაზა

**ანგოლა 2:0 ნამიბია**

1:0 დელგადო (44), 2:0 ფლავიო (63)

**ლეგია (პოლონეთი) 1:0 პარტიზანი (სერბეთი)**

1:0 სვიტლიცა (60)



# კანტაბრიელი ჯარისკაცი

**სანტანდერელი პედრო მუნიტისი ამ ზაფხულს მადრიდის „რეალიდან“ გალისიური „დეპორტივოში“ გადავიდა. ესპანური პრიმერას ცეცხლში ნაწრთობი გამოცდილი თავდასხმელი მზადაა, ახალ გუნდთან ერთად ახალი ბრძოლები გადაიხადოს**

— როგორ გრძნობთ თავს ლა კორუნიაში?

— გუნდმაც შესანიშნავად მიმიღო და ქალაქმაც, აქ ისე ვარ, როგორც საკუთარ სახლში. ადაპტაცია არ გამჭირვებია, რადგან ლა კორუნია და ჩემი მშობლიური სანტანდერი ძალიან ჰგვანან ერთმანეთს, ორივე ზღვისპირეთის ქალაქია, რაც მე ძალიან მომწონს. მადრიდში შებოჭილივით ვიყავი, კასტილიაში ხომ არც ზღვაა და არც ისეთი გულისხმიერი ხალხი, როგორიც კანტაბრიელები ანდა გალისიელები არიან.

— „რეალიდან“ თქვენი წასვლა ძალიან გაჭიანურდა და უკვე ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ იქაურ თავკაცებთან სერიოზული პრობლემები გქონდათ...

— მადრიდული გრანდიდან წამოსვლა უფრო ძნელი ყოფილა, ვიდრე იქ მოხვედრა. „რეალთან“ კავშირის გაწყვეტა ბევრ უსიამოვნო ამბავთან იყო დაკავშირებული, თუმცა საბოლოოდ იმას მივაღწიე, რაც მსურდა. ახლა ჩემს ცხოვრებაში ახალი ეტაპი იწყება.

— ესე იგი, „რეალი“ თქვენში ოდენ ცუდ მოგონებებს იწვევს?

— დედამიწის ზურგზე არ არის ისეთი გუნდი, დადებითთან ერთად უარყოფითიც რომ არ ჰქონდეს. ჩემი ყოფილი კლუბიც მათ რიცხვს მიეკუთვნება. განსაკუთრებით ბოლო დღეების განმავლობაში გართულდა ურთიერთობები, როდესაც ჩემი წასვლის საკითხს განიხილავდნენ. ყოველ დღე ერთი და იგივე პასუხს ვისმენდი უფროსობისგან — „ხვალ შენი ამბავი აუცილებლად გადაწყდება“. ეს ხვალ კი საკმაოდ დიდ ხანს გაგრძელდა. თუმცა იმის აღიარებაც მომიწევს, რომ „რეალმა“ ბევრი კარგიც მომიტანა — იქ ყოფნის დროს მრავალი მეგობარი შევიძინე და ჯილდოებიც მოვიგე.

— დღეს ყველა თქვენი ყოფილი თანაგუნდელების ვარსკვლავურობაზე საუბრობს. თქვენ რას ფიქრობთ ამასთან დაკავშირებით?

— მათი საქვეყნო სახელი მათ ხასიათებზე არ მოქმედებს — ყველანი სავსებით ნორმალური ბიჭები არიან.

— დევიდ ბექჰემზე რას იტყვით?

— კარგი პიროვნება და დიდი პროფესიონალია.

— მაკელელეს გუნდიდან წასვლის შესახებ?

— იმას, რომ „რეალი“ კლოდს არცთუ სამართლიანად მოექცა. პერესის გუნდში ელგერას, მიჩელ სალგადოს, პავონის და საერთოდ ყველა „არავარსკვლავის“ შრომა ნაკლებად ფასდება.

— „დეპორტივოში“ ჯერ თქვენი დებიუტი არ შემდგარა. ალბათ, ამ დღეს მოუთმენლად ელით...

— რა თქმა უნდა, ძალიან მსურს ახალ გუნდთან ერთად თამაში. პედრო მუნიტისს ჯერ კიდევ ბევრი ჯილდო დარჩა მოსაგები.

**ლადო ხომერიკი**

# კინიონს ქუდები და ოცნებები დაუთვალეს



**პიტერ კინიონის** „მანჩესტერ იუნაიტედიდან“ „ჩელსიში“ გადასვლამ ინგლისის საფეხბურთო წრეებში დიდი ხმაური გამოიწვია. ეს გასაგებიცაა, ვინაიდან საქმე გვაქვს არა ფეხბურთელის, არამედ აღმასრულებელი დირექტორის, მარკეტინგის მაესტროს გადაბირებასთან. ნუ დაგვავიწყდება, რომ 49 წლის კინიონი მანჩესტერელია, რომლისთვისაც მისი ქალაქის გუნდი — აქამდე, ყოველ შემთხვევაში — სიწმინდე იყო და მისი ლონდონში გადაბარგება, თან ასე მოულოდნელად, ამიტომაც ჰგავდა ელდას. პიტერ კინიონი ის ადამიანი გახლავთ, რომლის ნიჭის წყალობით „იუნაიტედმა“ სამ წელიწადში 400 მილიონი გირვანქა იშოვნა და დიდი ფეხბურთელები შეიმატა. ამბობენ, კინიონის „ჩელსიში“ გადასვლა ლონდონურ გუნდს თვისობრივად ახალ სიმაღლეზე აიყვანს და მის მეტოქეებს ნებისმიერ ვერონს, კრესპოზე და მუტუზე დიდ ზიანს მოუტანსო.

ამბობენ და თქვან, ჩვენი საქმე ცდა და დაკვირვებაა. რაც შეეხება ამ ფოტოებს, რომლებზეც ის რუსულ უშანკებშია გამოწყობილი, მათ თავისი ისტორია აქვთ. კერძოდ, ამ ათი წლის წინ, როდესაც მისტერ კინიონი „უმბროში“ მუშაობდა, იგი მივლინებით მოსკოვს ეწვია და, როგორც მაშინდელი ამბის თვითმხილველები ამბობენ, ფრიად შეიფერა და მოიხდინა იქაურობა. იგი იზომებდა და იზომებდა ქუდებს, რომელთაგან ერთი წითელი იყო, მეორე რუხი, ხოლო მესამე მწვანე.

„დღეს ეს ფოტოები წინასწარმეტყველებად გვეჩვენება, მაშინ კი ვინმეს რომ ეთქვა მისთვის, შენი მომავალი „ჩელსის“ მეპატრონე რუს ბიზნესმენს დაუკავშირდებაო, ალბათ სიცილით მოკვდებოდა“ — განუცხადებია „უმბროს“ ერთ-ერთ თანამშრომელს.

ჟურნალისტები კი ხელად შეუდგნენ იმ შემადგენლობის გამოთვლას, რომლის „ჩელსში“ ხილვაც კინიონის ოცნება იქნება. ფეხბურთელთა გვარები და მათი ფასები (ზოგი ამ მოთამაშეთაგანი უკვე ლონდონშია) ასეთია: ჯანლუიჯი ბუფონი — 20 მილიონი გირვანქა, ჯერემი — 7 მილიონი, რიო ფერდინანდი — 25 მილიონი, უენ ბრიჯი — 7 მილიონი, ლუიშ ფიგუ — 20 მილიონი, ზინედინ ზიდანი — 20 მილიონი, დევიდ ბექჰემი 25 მილიონი, დემიენ დაფი — 17 მილიონი, რუუდ ვან ნისტელროი — 25 მილიონი, რონალდო — 30 მილიონი, უეინ რუნი — 25 მილიონი.

**ბაკურა ძიდია**




პიტერ კინიონი „ჩელსიში“ ამათ მიყვანას აპირებს



# ტიგანა ალ ფაიედის ჯიბეს გამოეკიდა

**მოჰამედ ალ ფაიედის** მილიონებით გაძეძგილი „ფულემი“ ჟან ტიგანამ პირველი დივიზიონიდან პრემიერლიგაში რომ აიყვანა, ეგვიპტელი მილიარდერი, მაშინ ხარობდა. ალ ფაიედს „ფულემისგან“ სუპერკლუბის შექმნა და ევროთასებზე გზის გაჭრა სურდა. მილიარდერის გეგმას განხორციელება არ ეწერა, მისი კლუბი კი წინა სეზონში პრემიერლიგიდან გავარდნას ძლივს გადაურჩა.

„ფულემის“ ფრანგ მწვრთნელს კონტრაქტის დასრულებამდე მუშაობა არ აცალეს და გასულ აპრილში სამსახურიდან დაითხოვეს. ტიგანა ამ ხნის განმავლობაში ჩუმად იყო, ახლა კი სასამართლოს კარს მიადგა და ეგვიპტელის ჯიბიდან 2 მილიონ 500 ათასი ევროს ამოქაჩვას ცდილობს. ფრანგის თქმით, მთელი თანხიდან 455 ათასი ჯამაგირის სახით უეჭველად ეკუთვნის, 2 მილიონ 100 ათასი კი პრემიაა.

„ფულის გადახდას კლუბი არ აპირებს და სასამართლოს ამიტომაც მივაკითხე — თქვა ტიგანამ — უარი ადვოკატის ხელით, წერილით გამომიგზავნეს. მეუბნებიან, თითქოს არაფერი მეკუთვნის და რაც მერგებოდა, უკვე მივიღე. ახლა, როცა „ფულემში“ ყოფნის ბოლო ორ თვეს ვიხსენებ, ვხვდები, რომ ჩემი გაგდება უნდოდათ და პროვოკაციებს მიწყობდნენ.“

ფრანგი ითხოვს, მაგრამ მასთან პრეტენზია მოჰამედ ალ ფაიდესაც აქვს. ეგვიპტელი მილიარდერის აზრით, ტიგანამ ფეხბურთელთა შეძენისას ხელი მოითბო, რადგან რამდენიმე მოთამაშის ტრანსფერში აქტიურად ერეოდა.

„სტივ მარლეს სანაცვლოდ 11 მილიონ 500 ათასის გადახდა გვაიძულა, არადა, იგი ამდენი ნამდვილად არ ღირდა“ — განაცხადა ლონდონელთა წარმომადგენელმა დევიდ ფილიპსმა, რომელიც ფრანგს თაღლითობაში ადანაშაულებს.

**გაგა ხუციშვილი**





# ულუსოიმ ერიკსონი ნაადრევად გაასვენა

**11 ოქტომბერს** თურქეთი ინგლისს უმასპინძლებს. სტამბოლში ოსმალებს აუცილებლად მოგება სჭირდებათ, რათა ბრიტანელებს გადაასწრონ, პირველი ადგილი მიისაკუთრონ და პორტუგალიაში პირდაპირ გასწიონ.

სტამბოლურ მატჩამდე ერთი თვე დარჩა, მაგრამ ბრძოლა უკვე დაიწყო. ინგლისელი ჩინოვნიკები ფანებს თურქეთში გამგზავრებას არ ურჩევენ. წესით, პირიქით უნდა იყოს, რადგან ნაკრებს გულშემატკივრების სუნთქვა სჭირდება. ოსმალურ „ჯოჯოხეთში" თამაში ყველაზე გამოცდილ ბიჭებსაც უჭირთ და ინგლისი გამონაკლისი არ იქნება

ალბათ, გახსოვთ „გალათასარაი" — „ლიდსის" მატჩის წინ დატრიალებული ტრაგედია. მაშინ ორი ბრიტანელი ქომაგი მოკლეს. ინგლის — თურქეთის პირველი შეხვედრაც დიდი არეულობით და დაჭრილ-დაკეჟილი ფანების ოხვრა-კვნესით დასრულდა.

გასულ უქმეებზე სკოპიეში გამართული მაკედონია — ინგლისი ასევე სტუმართა ფანებისა და ადგილობრივი პოლიციის შეხლით დამთავრდა. მოკლედ, სტამბოლში ბრიტანელ ქომაგთა გამგზავრების პერსპექტივა ჩინოვნიკებს არ ხიბლავს და ერთი თვით ადრე თადარიგი დაიჭირეს. რჩევა-დარიგებაში თავისი სიტყვა სვენ გორან ერიკსონმაც გაურია და გულშემატკივრებს ტელევიზორებთან დარჩენისკენ მოუწოდა.

ეს ამბავი თურქეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ჰალუკ ულუსოიმ შეიტყო და შვედს გამოსვლა დაუწუნა: „მე ვიცი, ფანების თანხლება რატომ არ სურს. მას ეშინია, რომ მარცხის შემთხვევაში განრისხებული ქომაგები სტამბოლში აურევენ და საბოლოოდ ერიკსონს დაბრალდება. დარწმუნებული ვარ, თურქეთთან მატჩის შემდეგ შვედი სამუშაოს დაკარგავს. ის ინგლისის ნაკრების თავკაცობას არ იმსახურებს. რომელიმე მეორე ლიგელის მწვრთნელობა კი მისთვის ზედგამოჭრილია".

აღსანიშნავია, რომ თურქული მხარე ინგლისელებს იმდენ ბილეთს სთავაზობს, რამდენსაც მოისურვებენ.

**რომან თურქია**

# დიდი კაცები კალენდარს ჩაუსხდნენ

**პრემიერლიგაში** ისინი მეტოქეები არიან, მაგრამ საერთო საქმიათვის შეხმატკბილებას აპირებენ. ალექს ფერგიუსონი და არსენ ვენგერი შეთანხმდნენ, რომ სანაკრებო მატჩების გამართვა შაბათს და ოთხშაბათს საკლუბო ფეხბურთს ვნებს. მწვრთნელებს კალენდრის შეცვლა სურთ და უეფას სიახლეს სთავაზობენ.





როცა ნაკრებს ზედიზედ ორი თამაში უწევს (შაბათს და ოთხშაბათს), მაგალითად, სამხრეთამერიკელებს ევროპაში ჩასვლა უგვიანდებათ. ისინი კლუბებს მორიგი ტურის დაწყებამდე, ფაქტობრივად, 24 საათით ადრე უბრუნდებიან და მგზავრობით გადაღლილები სამატჩოდ მომზადებას ვერ ასწრებენ.

პრემიერლიგის ევროპელ ლეგიონერებსაც ძალების აღდგენა არანაკლებ უჭირთ. ფერგიუსონის და ვენგერის ვარიანტი ასეთია — როცა ნაკრებს მიჯრით ორი თამაში ელის, მატჩები შაბათ-ოთხშაბათის ნაცვლად შაბათ-სამშაბათს გაიმართოს. მთელი ერთი დღე (ოთხშაბათი) გამოთავისუფლდება და ფეხბურთელებიც გუნდს სულმოთქმული მიაშურებს.

გასულ კვირას, უეფას ფორუმზე, მარჩელო ლიპიმ და კარლო ანჩელოტიმ აზრი გამოთქვეს, რომ სანაკრებო შეხვედრებისთვის მხოლოდ ოთხშაბათი უნდა იყოს დადგენილი. რაკილა უეფას საკლუბო შეხვედრებისთვის სამშაბათი, ოთხშაბათი და ხუთშაბათი აქვს გამოყოფილი, მაშინ მოქნილი კალენდრის შედგენა ეროვნული გუნდებისთვისაც შეიძლება.

**ვაჟა ხუციშვილი**

# B იტალია სეზონს იწყებს

**როგორც იქნა**, საბოლოოდ მოგვარდა სერია B-ში შექმნილი პრობლემები და აურზაურს, რომელმაც კარგა ხანს გასტანა, წერტილი დაესვა. მართალია, გაფიცული კლუბები კვლავ უკმაყოფილონი არიან, მაგრამ თამაშზე უარს აღარ ამბობენ.

სერია B რამდენიმე დღის წინ ოფიციალურად კი დაიწყო, მაგრამ თორმეტი თამაშის ნაცვლად ათი ჩატარდა. ასე რომ, ჩემპიონატი ფაქტობრივად ახლა იღებს სტარტს. ბუნებრივია, გაიმართება იტალიის თასის მატჩებიც.

მიღწეული შეთანხმების თანახმად, როგორც მოსალოდნელი იყო, მომავალ სეზონში სერია B-ში 22 კლუბი დარჩება, ხოლო სერია A 20 გუნდამდე გაიზრდება.

სერია B-ს პირველი ხუთი გუნდი ავტომატურად აინაცვლებს უმაღლეს ლიგაში, ხოლო ერთი პლეი ოფში ითამაშებს ზედა დივიზიონის ბოლოდან მეოთხე გუნდთან. სერია A-ს ბოლო სამი კლუბი კი ქვემოთ ჩაინაცვლებს.

შემდეგი სეზონიდან სერია B-ში მიმომსვლელთა რაოდენობა ერთით შემცირდება და ოთხის ნაცვლად სამი გახდება.

აქვე აღვნიშნოთ, რომ გაფიცულ კლუბებს აღარ დააკლდებათ თითო ქულა. ხოლო ამიერიდან გუნდი, რომელიც „კატანიას" კვალს გაჰყვება და სპორტული ორგანიზაციების გვერდის ავლით დაიწყებს სამართლის ძიებას, დაისჯება, ან ქულა დააკლდება.

**გიორგი ქაქაბაძე**

# ტყავის ბურთი...
# მირჩევნია ცოლის ტყავს

**ზაფხული** ისე მიილია, რომ ანჟელიკა კამმა და კრისტოფ დაუმმა ზღვაში ერთად ვერ იჭყუმპალავეს. გერმანელი მწვრთნელის მომღერალი და მსახიობი მეუღლე უკვე ხუთი წელია, შვებულების გატარებას მეუღლის მკლავზე ცდილობს, მაგრამ ამაოდ.

კრისტოფი ფეხბურთზეა შეყვარებული, ანჟელიკა — კრისტოფზე. ცოლი ქმარს გასაჭირში ყოველთვის გვერდით ედგა. მწვრთნელი რამდენიმე წლის წინ მალიორკაზე ნაყიდი უძრავი ქონების გამო შარში გაეხვა, მერე კი კოკაინის ყნოსვაში ამხილეს და ბუნდესნაკრების თავკაცობა ოცნებადვე დარჩა.



კრისტოფ დაუმს ცოლი შემოსწყრა

ორივე შემთხვევაში დაუმის „ვალერიანის წვეთი" ანჟელიკა იყო, რომელიც ყველგან თან ახლდა და მძიმე დრო გადაატანინა. რით დაუფასა ქმარმა? კრისტოფი მუხლჩაუხრელად მუშაობდა, რათა როგორც მწვრთნელს, საკუთარი სიძლიერე საქვეყნოდ დაემტკიცებინა. შარშან „აუსტრია" ჩაიბარა და ჩემპიონატის დასრულებამდე ხუთი ტურით ადრე ოქრო მოაგებინა.

ამ ზაფხულს მაინც ვიქნებით ერთადო, ფიქრობდა ანჟელა, კაცი კი კვლავ ახალ სამუშაოს ეძებდა. ამჯერად დაუმს „ფენერბაჰჩე" ანდეს და შვებულება ისევ ჩაიშალა. იმის ნაცვლად, რომ ცოლთან ერთად მზის გულზე ენებივრა, დაჰკრა ფეხი და „ფენერბაჰჩესთვის" ფეხბურთელების შესარჩევად ბრაზილიაში გაუტია. მანამდე კონფედერაციის თასის მატჩებს დაესწრო. ანჟელიკა ელოდა, ქმარი კი მინდორ-მინდორ დაეხეტებოდა.

39 წლის მომღერალმა მეუღლეს პირველად ივნისში შეუტია. „შვებულება ფეხებზე დაიკიდე — ჩასძახოდა თურმე ყურმილში — შენი საკლუბო საქმეებისთვის მსოფლიოს გარშემო მოგზაურობ, მე კი გიჟივით მარტო ვგდივარ. ჩვენი ურთიერთობის შენარჩუნება თუ გსურს, შინ დაბრუნდი".

ზაფხული დასრულდა. ანჟელიკამ გულის ნადები თვისტომ ჟურნალისტებს გაანდო: „ხუთი წლის თანაცხოვრების შემდეგ მსურს მისგან გავიგო, ვინ ვარ კრისტოფის ცხოვრებაში, სად არის ჩემი ადგილი. არაერთხელ გავაფრთხილე და მოთმინების ფიალა ამევსო. უნდა შეიგნოს, რომ ხანდახან თავადაც სჭირდება ყურადღება და ცოლშვილსაც. აქამდე ყოველთვის ვეხმარებოდი, ამიერიდან კი ველარ შევძლებ. ის ყურებამდე ფეხბურთშია ჩაფლული. ადამიანური ბედნიერების შეგრძნება კრისტოფს აუცილებლად სჭირდება".

დაუმი ცივი და მშვიდია: „ჩვენი ურთიერთობა ძველებურად მყარი აღარაა, მაგრამ გაყრას ნამდვილად არ ვაპირებთ. მეტს ვერაფერს შეიტყობთ" — მკვახედ მიუგო ჟურნალისტებს მწვრთნელმა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ცხვარყოფილს ბალახი მოენატრა

| 21.00 | 5229 | სამპდორია-ლაციო | 1,9 | 1,7 |
| 23.30 | 5230 | მილანი-ბოლონია | 1,9 | 1,7 |
| 22.30 | 5231 | რეალი-ვალიადოლიდი | 2,2 | 1,5 |
| 00.30 | 5232 | სელტა-ბეტისი | 1,85 | 1,75 |
| 00.30 | 5233 | რასინგი-სოსიედადი | 1,85 | 1,75 |
| 00.30 | 5234 | სევილია-დეპორტივო | 1,8 | 1,8 |
| | | **14 სექტემბერი** | | |
| 18.00 | 5235 | სიტი-ასტონ ვილა | 1,9 | 1,7 |
| 20.05 | 5236 | ბირმინგემი-ფულემი | 1,8 | 1,8 |
| 20.30 | 5237 | კაიზერსლაუტერნი-ფრაიბურგი | 1,95 | 1,65 |
| 20.30 | 5238 | მიონხენგლადბახი-ფრანკფურტი | 1,9 | 1,7 |
| 18.00 | 5239 | ემპოლი-რეჯინა | 1,7 | 1,9 |
| 18.00 | 5240 | ლეჩე-ანკონა | 1,7 | 1,9 |
| 18.00 | 5241 | მოდენა-უდინეზე | 1,75 | 1,85 |
| 18.00 | 5242 | პარმა-პერუჯა | 1,9 | 1,7 |
| 18.00 | 5243 | რომა-ბრეშა | 1,95 | 1,65 |
| 18.00 | 5244 | სიენა-ინტერი | 1,9 | 1,7 |
| 23.30 | 5245 | კიევო-იუვენტუსი | 1,95 | 1,65 |
| 20.00 | 5246 | ოსასუნა-ატლეტიკო | 1,75 | 1,85 |
| 22.00 | 5247 | ესპანიოლი-ვილიარეალი | 1,8 | 1,8 |
| 22.00 | 5248 | სარაგოსა-მურსია | 1,8 | 1,8 |
| 22.00 | 5249 | ვალენსია-მალაგა | 1,8 | 1,8 |
| 23.00 | 5250 | ბილბაო-მალიორკა | 1,8 | 1,8 |
| 00.30 | 5251 | ალბასეტე-ბარსელონა | 1,9 | 1,7 |
| | | **15 სექტემბერი** | | |
| 24.00 | 5252 | ლესტერი-ლიდსი | 1,85 | 1,75 |

## I ტაიმის შედეგი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **13 სექტემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 5015 | არსენალი-პორტსმუთი | 1,5 | 3,2 | 7,0 | 1,02 | 1,23 | 2,19 |
| 19.00 | 5016 | ბლექბერნი-ლივერპული | 3,3 | 2,1 | 2,9 | 1,28 | 1,54 | 1,21 |
| 19.00 | 5017 | ბოლტონი-მიდლსბრო | 2,8 | 2,1 | 3,4 | 1,19 | 1,53 | 1,29 |
| 19.00 | 5018 | ჩარლტონი-მანჩესტერი | 5,6 | 2,2 | 2,0 | 1,57 | 1,47 | 1,04 |
| 19.00 | 5019 | ჩელსი-ტოტენჰემი | 1,85 | 2,35 | 5,6 | 1,03 | 1,39 | 1,65 |
| 19.00 | 5020 | ევერტონი-ნიუკასლი | 2,9 | 2,1 | 3,3 | 1,21 | 1,54 | 1,28 |
| 19.00 | 5021 | საუთჰემპტონი-ვულვერჰემპტონი | 2,0 | 2,2 | 5,6 | 1,04 | 1,47 | 1,57 |
| 18.30 | 5022 | ჰერტა-ჰანოვერი | 2,2 | 2,1 | 5,0 | 1,07 | 1,52 | 1,47 |
| 18.30 | 5023 | ჰანზა-ბოხუმი | 2,3 | 2,1 | 4,6 | 1,09 | 1,53 | 1,44 |
| 18.30 | 5024 | ლევერკუზენი-ჰამბურგი | 2,1 | 2,15 | 5,3 | 1,06 | 1,5 | 1,52 |
| 18.30 | 5025 | მიუნხენი-კიოლნი | 2,15 | 2,1 | 5,3 | 1,06 | 1,52 | 1,5 |
| 18.30 | 5026 | დორტმუნდი-ვერდერი | 2,15 | 2,1 | 5,3 | 1,06 | 1,52 | 1,5 |
| 18.30 | 5027 | შალკე-შტუტგარტი | 2,5 | 2,1 | 3,8 | 1,14 | 1,5 | 1,35 |
| 18.30 | 5028 | ვოლფსბურგი-ბაიერნი | 4,8 | 2,1 | 2,25 | 1.46 | 1,53 | 1,08 |
| 21.00 | 5029 | სამპდორია-ლაციო | 3,5 | 2,1 | 2,7 | 1,31 | 1,52 | 1,18 |
| 23.30 | 5030 | მილანი-ბოლონია | 1,55 | 3,0 | 7,0 | 1,02 | 1,26 | 2.09 |
| 22.30 | 5031 | რეალი-ვალიადოლიდი | 1,5 | 3,1 | 7,5 | 1,01 | 1.25 | 2,19 |
| 00.30 | 5032 | სელტა-ბეტისი | 2,25 | 2,1 | 4,8 | 1,08 | 1,53 | 1,46 |
| 00.30 | 5033 | რასინგი-სოსიედადი | 3,2 | 2,05 | 3,1 | 1,24 | 1,57 | 1,23 |
| 00.30 | 5034 | სევილია-დეპორტივო | 3,2 | 2,1 | 3.0 | 1,26 | 1,54 | 1,23 |
| | | **14 სექტემბერი** | | | | | | |
| 18.00 | 5035 | სიტი-ასტონ ვილა | 2,3 | 2,1 | 4,6 | 1,09 | 1,53 | 1,44 |
| 20.05 | 5036 | ბირმინგემი-ფულემი | 2,3 | 2,1 | 4,6 | 1,09 | 1,53 | 1,44 |
| 20.30 | 5037 | კაიზერსლაუტერნი-ფრაიბურგი | 2,25 | 2,1 | 4,8 | 1,08 | 1,53 | 1,46 |
| 20.30 | 5038 | მიონხენგლადბახი-ფრანკფურტი | 2,15 | 2,1 | 5,3 | 1,06 | 1,52 | 1,5 |
| 18.00 | 5039 | ემპოლი-რეჯინა | 2,45 | 2,05 | 4,2 | 1,11 | 1,54 | 1,37 |
| 18.00 | 5040 | ლეჩე-ანკონა | 2.25 | 2,05 | 5,0 | 1,07 | 1,55 | 1,45 |
| 18.00 | 5041 | მოდენა-უდინეზე | 3.0 | 2,05 | 3,3 | 1,21 | 1,57 | 1,26 |
| 18.00 | 5042 | პარმა-პერუჯა | 2,0 | 2,15 | 6,0 | 1,03 | 1,5 | 1,58 |
| 18.00 | 5043 | რომა-ბრეშა | 1,6 | 2,8 | 7,0 | 1,01 | 1,3 | 2 |
| 18.00 | 5044 | სიენა-ინტერი | 5,0 | 2,1 | 2,2 | 1,47 | 1,52 | 1,07 |
| 23.30 | 5045 | კიევო-იუვენტუსი | 2,9 | 2,1 | 3,3 | 1,21 | 1,54 | 1,28 |
| 20.00 | 5046 | ოსასუნა-ატლეტიკო | 2,9 | 2,1 | 3,3 | 1,21 | 1,54 | 1,28 |
| 22.00 | 5047 | ესპანიოლი-ვილიარეალი | 2,7 | 2,1 | 3,5 | 1.18 | 1,52 | 1,31 |
| 22.00 | 5048 | სარაგოსა-მურსია | 2,4 | 2,1 | 4,2 | 1,12 | 1,52 | 1,4 |
| 22.00 | 5049 | ვალენსია-მალაგა | 1,85 | 3,3 | 6.0 | 1,18 | 1,41 | 2,12 |
| 23.00 | 5050 | ბილბაო-მალიორკა | 2,4 | 2,1 | 4,2 | 1,12 | 1,52 | 1,4 |
| 00.30 | 5051 | ალბასეტე-ბარსელონა | 5,0 | 2,1 | 2.2 | 1,47 | 1,52 | 1,07 |
| | | **15 სექტემბერი** | | | | | | |
| 24.00 | 5052 | ლესტერი-ლიდსი | 3,2 | 2,1 | 3,0 | 1,26 | 1,54 | 1,23 |

## 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

| | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **13 სექტემბერი** | | | | | | | | | |
| 19.00 | 5115 | არსენალი-პორტსმუთი | 1,6 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 5,0 | 15,0 | 30,0 | 15,0 | 15,0 |
| 19.00 | 5116 | ბლექბერნი-ლივერპული | 4,0 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| 19.00 | 5117 | ბოლტონი-მიდლსბრო | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 19.00 | 5118 | ჩარლტონი-მანჩესტერი | 8,0 | 10,0 | 20,0 | 9,0 | 4,6 | 3,4 | 20,0 | 10,0 | 2,2 |
| 19.00 | 5119 | ჩელსი-ტოტენჰემი | 2,0 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,6 | 11,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 19.00 | 5120 | ევერტონი-ნიუკასლი | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 19.00 | 5121 | საუთჰემპ.-ვულვერჰემპ. | 2,3 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 18.30 | 5122 | ჰერტა-ჰანოვერი | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 18.30 | 5123 | ჰანზა-ბოხუმი | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 18.30 | 5124 | ლევერკუზენი-ჰამბურგი | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,6 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,5 |
| 18.30 | 5125 | მიუნხენი-კიოლნი | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,6 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 18.30 | 5126 | დორტმუნდი-ვერდერი | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,6 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 18.30 | 5127 | შალკე-შტუტგარტი | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 18.30 | 5128 | ვოლფსბურგი-ბაიერნი | 6,5 | 10,0 | 20,0 | 7,5 | 4,4 | 3,6 | 20,0 | 10,0 | 2,6 |
| 21.00 | 5129 | სამპდორია-ლაციო | 4,6 | 10,0 | 20,0 | 5,3 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,5 |
| 23.30 | 5130 | მილანი-ბოლონია | 1,6 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 5,0 | 15,0 | 30,0 | 15,0 | 15,0 |
| 22.30 | 5131 | რეალი-ვალიადოლიდი | 1,6 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 5,0 | 15,0 | 30,0 | 15,0 | 15,0 |
| 00.30 | 5132 | სელტა-ბეტისი | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 00.30 | 5133 | რასინგი-სოსიედადი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,8 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 00.30 | 5134 | სევილია-დეპორტივო | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,8 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| | | **14 სექტემბერი** | | | | | | | | | |
| 18.00 | 5135 | სიტი-ასტონ ვილა | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 20.05 | 5136 | ბირმინგემი-ფულემი | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 20.30 | 5137 | კ.ლაუტერნი-ფრაიბურ. | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 20.30 | 5138 | მ.გლადბახი-ფრანკფ. | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 18.00 | 5139 | ემპოლი-რეჯინა | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,2 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 18.00 | 5140 | ლეჩე-ანკონა | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,2 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 7,5 |
| 18.00 | 5141 | მოდენა-უდინეზე | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,2 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 18.00 | 5142 | პარმა-პერუჯა | 3,1 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 11,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 18.00 | 5143 | რომა-ბრეშა | 1,7 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 4,8 | 14,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |
| 18.00 | 5144 | სიენა-ინტერი | 7,0 | 10,0 | 20,0 | 8,0 | 4,6 | 3,5 | 20,0 | 10,0 | 2,5 |
| 23.30 | 5145 | კიევო-იუვენტუსი | 6,5 | 10,0 | 20,0 | 8,0 | 4,6 | 3,6 | 20,0 | 10,0 | 2,6 |
| 20.00 | 5146 | ოსასუნა-ატლეტიკო | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 22.00 | 5147 | ესპანიოლი-ვ.რეალი | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 4,8 |
| 22.00 | 5148 | სარაგოსა-მურსია | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 22.00 | 5149 | ვალენსია-მალაგა | 2,0 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,6 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |
| 23.00 | 5150 | ბილბაო-მალიორკა | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 00.30 | 5151 | ალბასეტე-ბარსელონა | 6,5 | 10,0 | 20,0 | 7,5 | 4,4 | 3,6 | 20,0 | 10,0 | 2,6 |
| | | **15 სექტემბერი** | | | | | | | | | |
| 24.00 | 5152 | ლესტერი-ლიდსი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,8 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,6 |

**კროკოს დიდუბის ბიურო (წერეთლის გამზირი, კორპუსი № 11) 1 სექტემბრიდან ორშაბათობითაც მუშაობს**

# სტეფანია ცსკა-ს უნდა. სტეფანიას უნდა?!

## ვოვა უკვე სკოლაში დადის



ვლადიმერ სტეფანია ჯერაც უგუნდოდაა

*სანამ ვლადიმერ სტეფანია ნბა-ში წავიდოდა, ევროპაში დაამტკიცა საკუთარი ძალა და ოკეანგაღმა რომ დაიხარჯება, ბებერი კონტინენტი დიდი პატივითაც მიიღებს. სტეფანიას ჯერაც მოსდევს ჯანი და ევროპაში თამაშს არ აპირებს, თუმც რუსმა მაინც გაბედა, „მაიამიდან" წამოსულ ქართველს მოსკოვში თამაში შესთავაზა და, ცხადია, უარი მიიღო. გუშინ სტეფანიას მაიამიში რომ დავუკავშირდით, ცოტა არ იყოს, გასაკვირი ამბავი შევიტყვეთ, მას თურმე ცსკა ეპატიჟებოდა...*

**— ვოვა, რეალური მსურველი ხომ არ გამოგიჩენია?**

— კარგ ფულს რომ მთავაზობდეს, ასეთი გუნდი ისევ არ ჩანს, იაფად კი, რამდენსაც გინდა, იმდენს ვუნდივარ.

**— მაინც როგორ კონტრაქტი გინდა, რამდენზე იქნები თანახმა?**

— რასაც ახლა მთავაზობენ, დაახლოებით ერთი მილიონი დოლარია, ამას კი ალბათ არასდროს დავთანხმდები.

**— ადრე თქვი, „მაიამიმ" ორ მილიონზე მეტი შემომთავაზაო. ახლა ხომ არ ნანობ, რომ იუარე?**

— იყო დრო, „მაიამი" 3 მილიონსაც მთავაზობდა, მაგრამ ერთწლიანი კონტრაქტი არ მინდოდა. მაინც, არ ვნანობ.

**— ვთქვათ, არავინ მოგცა მილიონზე მეტი... ევროპაში წამოხვალ?**

— არა, ევროპაში დაბრუნებას ჯერ არ ვაპირებ, ვთვლი, რომ კარიერის პიკზე სწორედ ახლა ვარ და მინდა, ნბა-ში გამოვიჩინო თავი.

**— ისე, რომელ ევროპულ გუნდში ითამაშებდი?**

— ეგ ჯერ არ ვიცი, მაგრამ მოსკოვის ცსკა-მ უკვე შემომთავაზა კონტრაქტი, რაზეც დაუფიქრებლად უარი ვთქვი.

**— „მაიამიდან" წამოვედიო და, სად ვარჯიშობ?**

— ერთ-ერთი სკოლის დარბაზში, სადაც არაერთი პროფესიონალი იკრიბება საღამოობით.

**— ისინიც შენსავით უგუნდონი არიან?**

— არა, თითქმის ყველა კონტრაქტიანია. ტიმ ჰარდევეი, ბრიუს ბოუენი, რაჯა ბელი... ძირითადად ესენი ვიკრიბებით და ხან ვთამაშობთ, ხანაც ვვარჯიშობთ.

**— თავისუფალი დრო ბლომად გექნება. მაიამურ პლაჟებზე არ დადიხარ?**

— არა, ცურვა არ მიყვარს. ახლა, სანამ გუნდს ვიშოვიდე, ისეთ ხასიათზე ვარ, არც გართობა მინდა და არც არაფერი...

**ირაკლი პერტაია**

# დინამომ განაცხადა...

## რა თქმა უნდა, ხორვატი



დრაგან ბრაიკოვიჩმა (ბურთით) დავით უგრეხელიძე რომ ვერ დაიყოლია, ხორვატიიდან დარიო ლივაიჩი ჩამოიყვანა

**პაატა ხანია**, თბილისის „დინამო" ლეგიონერთა ჩამოყვანას ეშურება. ხან ვინ და ხან ვინო, თუმც „დინამოში" რეალურად ჩამომსვლელი უცხოელის ვინაობა გუშინღა გაცხადდა: ჩემპიონებმა კალათბურთის ფედერაციაში წარსადგენად გამზადებულ 11-კაცა განაცხადში გუშინ ხორვატი ახმახი, 24 წლის დარიო ლივაიჩიც შეიყვანეს.

11 დინამოელის ვინაობას მას მერე გაგაცნობთ, რაც ცოტა ღრმად ჩავეძიებით „დინამოს" ახალწვეულის ავანჩავანს. დარიო ლივაიჩი ბოლოს ხორვატიულ „ზრინიევაცში" თამაშობდა. საერთოდ, ამ 210-სანტიმეტრიან მეფარეს პროფესიულ დონეზე სულ ორ გუნდში უთამაშია: „ზრინიევაცამდე" ის ხორვატიის მეორელიგელი „ზაბოკის" ცენტრი იყო.

„დინამოში" როგორც გვითხრეს, ლივაიჩთან მოლაპარაკებას კლუბის ხორვატი მწვრთნელი დრაგენ ბრაიკოვიჩი აწარმოებდა. ეს რომც არ ეთქვათ, ისედაც ცხადი იქნებოდა და აი, რატომ: დარიო ლივაიჩის კარიერის საუკეთესო შედეგი 2003 წლის 17 თებერვალს ხორვატიულ „ტრიგლავთან" მოხვეჭილი 22 ქულაა. სწორედ ამ პერიოდში „ტრიგლავს" ბრაიკოვიჩი წვრთნიდა და სავარაუდოდ, მოიხიბლა კიდეც ლივაიჩით.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ლივაიჩმა „ზრინიევაცის" შემადგენლობაში ბოლო სეზონში 24 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 9 ქულასა და 4,1 მოხსნას იხვეჭდა. მისი გუნდი კი ხორვატიის რეგულარულ ჩემპიონატში მე-7 ადგილზე გავიდა, პლეი ოფში ვერ მოხვდა და უმაღლეს ლიგაში დასარჩენად მოუხდა ბრძოლა.

როგორც EUROBASKET.COM-ის ხორვატიული ვებ-გვერდი იუწყება, ლივაიჩი „ზრინიევაცის" სათადარიგო ცენტრი იყო მიუხედავად იმისა, რომ ძირითად, 212-სანტიმეტრიან დენის ვრშალკოს სტატისტიკური მაჩვენებლებით დიდად არ ჩამოუვარდებოდა.

სამაგიეროდ, იყო დრო, როცა ლივაიჩი „ზრინიევაცის" ძირითადი ცენტრი იყო და სწორედ მაშინ უთამაშია მას ჩვენებურ დავით უგრეხელიძის წინააღმდეგ. 2001 წელს კორაჩის თასის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე ლივაიჩის „ზრინიევაცმა" ლიუბლიანის „სლოვანთან" ორივე მატჩი დიდი ანგარიშით წააგო. ჩვენც იმ მატჩის მონაწილე უგრეხელიძეს ვთხოვეთ ლივაიჩის დახასიათება.

„ზრინიევაცს" დიდი ხნის წინ ვეთამაშეთ, მაგრამ ეს მატჩი ძალიან კარგად მახსოვს, რადგან შედეგიანად ვითამაშე — გვეუბნება უგრეხელიძე — არ ვიცი, რომელი იყო დარიო ლივაიჩი და ითამაშა თუ არა მან საერთოდ, მაგრამ „ზრინიევაცის" ცენტრებს დიდი კალათბურთელობისა არაფერი ეტყობოდათ. თავის ქება არ მინდა, მაგრამ ხორვატების მეფარეებს იოლად ვაჯობე".

უგრეხელიძეს არ ახსოვს, არადა, ლივაიჩის წინააღმდეგ იმ მატჩებში საკმაოდაც უთამაშია. აგერ, სტატისტიკაც: 2001 წლის 17 ოქტომბერს ლიუბლიანაში „სლოვანმა" 87:64 დაამარცხა „ზრინიევაცი" და იმ მატჩში უგრეხელიძემ 34 წუთი გაატარა მოედანზე, ლივაიჩმა კი 30. ქართველი ცენტრის ანგარიშზე იმ თამაშში 25 ქულა და 7 მოხსნა დაგროვდა, მისმა ხორვატმა ოპონენტმა ლივაიჩმა კი ოდენ 2 ქულისა და 3 მოხსნის გაკეთება შეძლო. 6 დღეში გაიმართა საპასუხო მატჩი ზაგრებში და ისიც „სლოვანმა" მოიგო (85:67), უგრეხელიძემ კი ლივაიჩის შეკოწიწებული 3 ქულის წილ 14 მოიხვეჭა. "დინამოს" უგრეხელიძის შეძენაც სურდა, მაგრამ დავითი ჯერაც იტალიური „სიენასკენ" იყურება და ქართული კლუბებისთვის არ სცხელა.

ჯერ უცნობია, თუ როდის ჩამოვა ლივაიჩი თბილისში, მაგრამ ეს რომ დღეს-ხვალ არ მოხდება, დინამოელთა განცხადებიდანაც ჩანს. „გუშინ ამოიწურა კალათბურთის ფედერაციაში განაცხადების შეტანის ვადა. თუ დღეიდან ვინმეს დავიმატებთ, ჯარიმის გადახდა მოგვიწევს. ამიტომაც შევიყვანეთ დარიო ლივაიჩი განაცხადში, ხოლო როდისთვის შემოგვიერთდება ის, ჯერ არ ვიცით" — გვითხრეს „დინამოს" პრესსამსახურში.

აი, ის 10 კალათბურთელიც, „დინამომ" დარიო ლივაიჩთან ერთად გუშინ მე-13 ეროვნული ჩემპიონატის განაცხადში რომ შეიყვანა: არჩილ ქლენტი, კოტე ტუღუში, ლაშა გამყრელიძე, ლაშა ლოსაბერიძე, ირაკლი კეიდია, ვახტანგ მინაშვილი, ზურაბ ჩუბინიძე, ირაკლი ხოშტარია, ვლადიმერ ბეჟანიშვილი და დავით მუშკუდიანი.

ჩემპიონებმა ძირითადი გუნდის განაცხადში არ შეიყვანეს სსუ-ელი გამთამაშებელი მიხეილ ჩიტაშვილი, რომელსაც, სავარაუდოდ, დუბლიორებში ჩარიცხავენ.

*გუშინწინ მანუჩარ მარყოიშვილის „ბენეტონმა" ამ სეზონში პირველი ამხანაგური მატჩი გამართა იტალიის სერია B-ს „საზარისთან" და დიდი ანგარიშით გაიმარჯვა. ცხადია, გვაინტერესებდა ჩვენებურის მონაგარი, მაგრამ მარყოიშვილის გვარი მატჩის ოქმში ვერ ამოვიკითხეთ. მანუჩარს თურმე ხელის ტრავმა აწუხებს, მას გუშინ სარდინიაზე დავუკავშირდით...*

# მანოს რაჭამანია

## მარკოიშვილი ხელს იშუშებს



მანუჩარ მარყოიშვილი ახლა ხელს იშუშებს

— კალიარიში ორი დღის წინ, ოთხთა ტურნირში სათამაშოდ ჩამოვედით. სამწუხაროდ, მე ვერ ვეხმარები „ბენეტონს", 4-5 დღის წინ ხელის ტრავმა მივიღე.

**— როდის ჩადგები მწყობრში?**

— ორ-სამ დღეში უკვე გუნდს შევუერთდები, ახლა კი სამკურნალო ვარჯიშების კურსს გავდივარ. გადავრჩი, რომ სერიოზული ტრავმა არ აღმომაჩნდა, არადა, თავიდან ისე ჩანდა, 40 დღე ხელი თაბაშირში უნდა მქონოდა.

**— ვარჯიშზე დაშავდი?**

— სანამ სარდინიაზე ჩამოვიდოდით, იტალიის სამთო კურორტ ბრუნიკოში ვემზადებოდით და ხელიც იქ ვიტკინე. ვარჯიშისას წავიქეცი და მარჯვენა ხელი დავიზიანე.

**— ესე იგი, საშიში არაფერია?**

— ხელს რომ ბოლომდე ვშლი და ვღუნავ, მხოლოდ მაშინ მტკივა. ესეც მალე გამივლის და სრულ მზადყოფნაში ვიქნები.

**— კალიარულ ტურნირში რომელი გუნდები მონაწილეობენ?**

— სერია A-დან „ლივორნო" და „ტერამო", სერია B-დან კი „საზარი", რომელსაც გუშინ მოვუგეთ. ტურნირი ხვალ დასრულდება და ტრევიზოში დავბრუნდებით.

**— ბრუნიკოში ამხანაგური მატჩები არ გაგიმართავთ?**

— არა, ბრუნიკო მთაშია და იქ მხოლოდ ფიზიკურად ვემზადებოდით. ძალიან ლამაზი ბუნებაა, მთები, ხევები... რაჭა გამახსენდა, თუმც რაჭას არც ერთი მხარე არ სჯობს ქვეყანაზე.

**— „ბენეტონი" სრულად შეიკრიბა?**

— არა, მასიმო ბულერი და დენის მარკონატო იტალიის ნაკრებში არიან.

**— ევროპის ჩემპიონატზე მეოთხედფინალში გასვლით იტალიაში ძალიან გაიხარეს?**

— სულაც არა, თითქოს არც არაფერი მომხდარიყოს. იტალია დიდი ტრადიციების გუნდია და მეოთხედფინალში გასვლა არაფრად უღირს. ისე, სხვათა შორის თქვეს, მეოთხედფინალში გავედითო.

**ირაკლი პერტაია**

მსოფლიოს ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში ნიუ იორკი. 10 - 14 სექტემბერი

# ნიუ იორკში ცოდვასა და შიშზე ლაპარაკობენ

## ქართველები სუფთა სინდისით მედლებსა და ლიცენზიებზე ფიქრობენ

*ამერიკის შეერთებული შტატებისთვის ავადმოსაგონარ 11 სექტემბერს ნიუ იორკში მსოფლიოს მრავალი ქვეყნის დელეგაცია მოიყრის თავს. ტრაგედიის ორი წლისთავი და მის გამო დაგეგმილი ღონისძიებები ამ შემთხვევაში არაფერ შუაშია. ხვალ „მედისონ სკვერ გარდენში“ თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიოს ჩემპიონატი იწყება. ამერიკაში ჩასვლა, მით უმეტეს, ასეთ დროს, ცხადია, მუსლიმური სამყაროს ქვეყანათა ნაკრებებს დიდად არ ეპიტნავებათ. ზოგიერთი სულაც არ აპირებს ჩემპიონატში მონაწილეობას. ეს კი ტურნირს აუცილებლად დაეტყობა. შტატების მოძულე სახელმწიფოთა გუნდებში ხომ ბევრი ძლიერი სპორტსმენი გამოდის*



ელდარ კურტანიძე:
ქართველთა ჩემპიონი და იმედი

შარშან მსოფლიოს პირველობას თეირანმა უმასპინძლა და ამერიკის ნაკრებმა იქ ჩასვლაზე ცივი უარი განაცხადა, წლეულს კი ირანელები სამაგიეროს გადახდას აპირებენ. ძნელი სათქმელია, მასპინძლები ამით უფრო მეტად შეურაცხყოფილნი დარჩებიან თუ კმაყოფილნი, მაგრამ ფაქტია, მათ ბევრ გამოცდილ და მსოფლიოში სახელმოხვეჭილ მოჭიდავეს თავადვე არ მისცეს ქვეყანაში შესვლის ნება. სავიზო პრობლემები რუსეთის ნაკრების სამ წევრსაც შეექმნა, მათ შორის საქართველოდან წასულ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონსა და სიდნეის ოლიმპიადის ოქროსმედალოსან დავით მუსულბესს ჩოხელს. თუმცა ირანელების არ იყოს, ეს უკანასკნელიც თავადაც უცხადებდა პროტესტს ამერიკულ ტურნირს.

ფავორიტთა რაოდენობის კლება ჩემპიონატს ძალას მოაკლებს, რაც, რა თქმა უნდა, არასასურველია, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ შექმნილი სიტუაცია ქართველ მოჭიდავეთა წარმატების შანსებს ზრდის, ირანელთა პროტესტი დიდად არც დაგვამწუხრებს.

ზაზა თურმანიძის გუნდი ამერიკაში 3 სექტემბერს ჩაფრინდა და ბოლო, ჩემპიონატის წინა შეკრების გასავლელად ნიუ იორკთან ახლოს დაბანაკდა, გუშინ კი ტურნირის მასპინძელ ქალაქს მიაშურა. გამთენიისას ქართული „შეიდეული“ სამედიცინო კონტროლს გაივლიდა და ასაწონადაც გაემზადებოდა, თან კენჭისყრაშიც მიიღებდა მონაწილეობას. ჯერ კიდევ ბორჯომული შეკრების შემდეგ განაცხადა ჩვენთან საუბრისას ნაკრების თავკაცმა ზაზა თურმანიძემ, რომ სპორტსმენთა წარმატება მნიშვნელოვანწილად წილისყრაზეც იქნებოდა დამოკიდებული. წინასწარი მონაცემებით, შედგება სამკაციანი ჯგუფები და მომდევნო ეტაპის საგზურებს მათში გამარჯვებულები მოიპოვებენ. ეს, ფაქტობრივად, იმას ნიშნავს, რომ მოჭიდავე ერთი წაგებით დაასრულებს ტურნირს, თუმცა იშვიათ შემთხვევაში შეიძლება ისეც მოხდეს, ერთხელ დამარცხებულმაც დაიკავოს ჯგუფში პირველი ადგილი. ეს ოცნებას უფრო ჰგავს და იმედია, ქართველები საქმეს აქამდე არ მიიყვანენ. ჯგუფური ტურნირის გადალახვა კი ნიუ იორკის მსოფლიოს ჩემპიონატზე ორმაგად ფასობს. ათენის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიებს ამერიკაში თითოეულ წონაში ათ-ათი საუკეთესო სპორტსმენი მიიღებს. ჯგუფიდან გასვლა ამისთვის სავსებით საკმარისია.

შეჯიბრებანი „მედისონ სკვერ გარდენში“ იქაური დილით ჩვენით კი საღამოს დაიწყება და ამერიკულად 13, ხოლო ქართულად 22 საათამდე მოჭიდავენი პირველი წრის შეხვედრებსაც მოილევენ. შემდეგ ტურნირის ოფიციალური გახსნის ცერემონიალი შედგება და მეორე წრეც გახურდება. ორგანიზატორთა თავდაპირველი გადაწყვეტილებით, პირველ დღეს ჩემპიონატი მხოლოდ სამ წონით კატეგორიას უნდა დაეწყო, დანარჩენი ოთხი წონა კი ხალიჩაზე 12-დან უნდა გასულიყო, მაგრამ ფორმატი შეცვალეს და შვიდივე წონას 11-დან დაუგეგმეს ჭიდაობა. ასე რომ, ტურნირის მეორე დღესვე გაირკვევა ოლიმპიადაზე წამსვლელთა ვინაობა. ჩემპიონატზე ხელმოცარულთ ათენში მოხვედრის შანსი კიდევ რჩებათ და ამისთვის დარჩენილ სალიცენზიო ტურნირებზე წარმატებული გამოსვლა დასჭირდებათ, მაგრამ, ბუნებრივია, საქმის აქედანვე მოგვარება სჯობია და, თურმანიძის თქმით, 5-6 ქართველს ამერიკაში ლიცენზიისთვის ბრძოლა რეალურად შეუძლია. მედლებზე პროგნოზის გაკეთებისგან კი „თავისუფალთა“ დამრიგებელი თავს იკავებს.

ირანის მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩვენმა ნაკრებმა ერთი მედალი მოიგო. ელდარ კურტანიძემ მაშინ ჩემპიონობა არავის დაუთმო და ქართული გუნდის ლიდერი და უმთავრესი იმედი ნიუ იორკშიც იგი იქნება. თან აშშ-ში ალბათ მის უმთავრეს კონკურენტად მიჩნეული ირანელი მსოფლიოს ჩემპიონი (1998 წელს) ალი რეზა ჰეიდარიც არ ჩავა. კურტანიძის შემდეგ ყველაზე გამოცდილად საქართველოს ნაკრებში გორელი დავით პოლოსიანი შეიძლება ჩაითვალოს. ევროპის ორგზის ჩემპიონმა მსოფლიოზე საუკეთესო შედეგი 2001 წელს ბულგარეთში აჩვენა, როდესაც მასპინძელ ანატოლი გუიდიას სძლია და ბრინჯაოს დაეუფლა. შარშან კი ირანში მეხუთე ადგილზე გავიდა. 60 კგ-ის ლიდერებად თეირანის მსოფლიოს ჩემპიონატის გამარჯვებული სომეხი არამ მარქარიანი და ვერცხლის პრიზიორი პურებათარი (მონღოლეთი) მიიჩნევიან. ალბათ უმაღლესი მიზნებისთვის იბრძოლებენ ზემოთ ნახსენები გუიდია და აზერბაიჯანელი აბდულაევიც.

საკმაოდ კარგ ფორმაში არიან და ნიუ იორკში წარმატებულ გამოსვლას გეგმავენ აპრილში ლატვიაში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე თავგამოჩენილი რევაზ მინდორაშვილი (ოქრო 84კგ-ში) და მძიმეწონოსანი ალექსი მოდებაძე (ბრინჯაო). მინდორაშვილი შარშან თეირანიდან მე-6 ადგილით დაბრუნდა, თუმც, სპეციალისტთა აზრით, იგი ამჯერად გაცილებით უკეთეს ფორმაში იმყოფება. გამოკვეთილ ლიდერებად მის წონაში კუბელი რომერო და რუსი მსოფლიოს ჩემპიონი საიტიევი ითვლებიან, მაგრამ ამ უკანასკნელის აშშ-ში წასვლის საკითხი წონით კატეგორიაში დიდი კონკურენციის გამო ბოლო მომენტამდე გაურკვეველი იყო. ასევე ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენენ მაკედონიელი მაგომედ იბრაგიმოვი და კამერუნელი კამდენიც.

მძიმე წონაში თეირანში დავით ოთიაშვილმა იჭიდავა და კურტანიძის შემდეგ ყველაზე კარგი შედეგიც აჩვენა. მესამე ადგილისთვის შეხვედრა თურქ აიდან პოლაჩთან დათმო. ალექსი მოდებაძემ კი პოლაჩს ევროპის ჩემპიონატზე სძლია და ნახევარფინალში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონ დავით მუსულბესთან 1:3 დამარცხდა. მუსულბესმა ბოლო წლებში დაუმარცხებელი ფალავნის სახელი დაიგდო და მასთან თანაბრად მოჭიდავე მოდებაძეს მაშინ ბევრმა დიდი რუსის მემკვიდრეც კი უწოდა. ამერიკაში ქართველ მძიმეწონოსანს სპეციალისტთა მიერ გაცემული ავანსების გასამართლებლად დიდი ბრძოლების გადატანა მოუწევს. ერთ-ერთ უმთავრეს მეტოქედ კი ალბათ უზბეკი რუსლან ტაიმაზოვი ეყოლება, რომელთანაც ორიოდ თვის წინ ვლადიკავკაზის საერთაშორისო ტურნირის ფინალში დამარცხდა.

გამოცდილება არც ევროპის ორგზის პრიზიორ ოთარ თუშიშვილს (66კგ) აკლია. 55კგ-ში მოასპარეზე ახალგაზრდა ბესიკ გოჩაშვილისთვის აშშ-ს მსოფლიოს ჩემპიონატი ნაკრების რიგებში მეორეა. გელა სალირაშვილი (74კგ) კი სულაც თურმანიძის გუნდის დებიუტანტია. შარშან ირანში ამ წონაში გურამ მჭედლიძემ იჭიდავა და მე-7 ადგილი დაიკავა. ასევე მე-7 იყო 2001 წელს მინდორაშვილიც. იმედია, სალირაშვილი ამ ტრადიციას არ გააუარესებს და ოლიმპიადის ლიცენზიასაც მოიპოვებს.

ნიუ იორკის მახლობლად დაბანაკებულ ქართულ დელეგაციას გუშინ დავუკავშირდით და ნაკრების მთავარ ექიმ ზურაბ კახაბრიშვილს გავესაუბრეთ:

**— როგორ ჩაიარა ჩემპიონატისწინა შეკრებამ, სად ვარჯიშობდით?**

— 3 სექტემბერს ნიუ იორკიდან ორიოდ საათის სავალზე, ფრანგულ კოლეჯში დავბინავდით და სავარჯიშოდაც ამავე კოლეჯის დარბაზი გამოვიყენეთ.

**— სხვა ნაკრებს თუ შეხვდით. რომელიმე მათგანთან ერთად ხომ არ გივარჯიშიათ?**

— საფრანგეთის ნაკრებიც იმავე კოლეჯში ცხოვრობდა და იმავე დარბაზში ვარჯიშობდა, სადაც ჩვენ, მაგრამ სპარინგობა ერთმანეთისთვის არ გაგვიწევია. ამ მხრივ ბიჭებს მწვრთნელები, თურმანიძე, ხურცია და გალდავა ეხმარებიან.

**— აკლიმატიზაცია ხომ არ გაგიჭირდა?**

— ნიუ იორკსა და საქართველოს შორის დროში სხვაობა 9 საათია და პირველ დღეებში მართლაც ძალიან გაგვიჭირდა, მაგრამ ამ პრობლემის მოსაგვარებლად საკმაო დრო გვქონდა. ახლა ყველაფერი რიგზეა და იმედია, ბოლო შეკრების ამერიკაში გავლა გუნდს სასიკეთოდ წაადგება.

**— ბიჭების ჯანმრთელობის საქმე როგორაა, რაიმე სერიოზული ტრავმა ხომ არ შეუშლის რომელიმე სპორტსმენს ხელს?**

— ჯერაც რჩება მცირე ტრავმები, როგორც საქართველოდან გამოყოლილი, ისე აქ მიღებული, თუმცა სანერვიულო არაფერია, ტურნირის დაწყებამდე ყველა მოჭიდავე ჯანზე იქნება.

**ოთარ ბაღლაკელიძე**



VUELTA A ESPAÑA 03 — ვუელტა ესპანა 6 - 28 სექტემბერი

# ეჩებარიები

## ბასკურად რბოლა ბრძოლაა



უნაი ეჩებარია

**წინა**, სანტანდერული ეტაპის მსგავსად, მილეთი ამ ჯერზეც ჩაუქი იტალიელი სპრინტერის, ალესანდრო პეტაკის გალაღებას გამოელოდა. მაგრამ რბოლა მისთვის არასახარბიელოდ წარიმართა და 29 წლის მრბოლს ეგრეც არ მიეცა შანსი, თავისი საფინიშო აჩქარებით მორიგი გამარჯვება მოემკა.

ამაში დამნაშავენი უწინარესად ბასკური „ეუსკალტელ-ეუსკადის“ თანამოგვარენი, ვენესუელელი უნაი ეჩებარია და ესპანელი დავიდ ეჩებარია გახლდნენ. ესენი თავიდანვე აქტიურობდნენ და „ლაბარკის“ კოლუმბიელ ფელიქს კარდენასთან ერთად პელოტონს უკვე რბოლის პირველ მესამედშივე, ელ ესკუდოს პირველი კატეგორიის შემართზე დაეთესნენ.

რაკილა დაწინაურებულთ ტემპი არც მერე გაუნელებიათ, პეტაკის „ფასა ბორტოლოც“ აღარ გაფაფხურებულა — ეჩებარიებმა და მათმა მიმყოლებმა ფინიში პელოტონზე წუთნახევრით ადრე გადაკვეთეს. ოღონდ ეს ჯგუფურად არ მომხდარა — 20 კილომეტრით ადრე უნაიმ თავისი მოგვარეც უკან ჩამოიტოვა და კაი ბარაქიანი 44 წამით მიასწრო.

ამ რბოლის მერე საერთო ჩათვლას სათავეში „ონსე-ეროსკის“ ისიდრო ნოსალი ჩაუდგა. ის ახლა 50 წამით უპირატესობს თანაგუნდელსა და აქამომდელ ლიდერ ხოაკინ როდრიგესთან. ნოსალს იმედი აქვს, რომ სეფემაისურას პირენეებამდე დაინარჩუნებს, მერე კი ალბათ გუნდის ყოჩ იგორ გონსალეს დე გალდეანოს გადაულოცავს.

სხვაფრივ, ბასკთა გამარჯვებამ ეგებ გული მოულბოს რბოლის მახვშ ენრიკო ფრანკოს, ვინაც „ეუსკალტელ-ეუსკადის“ გუნდის ლიდერთაგანის, აიმარ სუბელდიას არჩამოყვანის გამო შემოსწყრა. ეს მათი მხრიდან ჩემი დაღალატება იყოო, ამბობდა ფრანკო.

საინტერესოა, რას იტყვის ის ახლა, ბასკთა მიერ ვუელტას ისტორიაში მესამე გამარჯვების შემდეგ.

**კარლო გოგოლი**

**9 სექტემბერი. IV ეტაპი**

**სანტანდერი — ბურგოსი. 151 კმ**

1. უნაი ეჩებარია (ვენესუელა, ეუსკალტელ-ეუსკადი) 3სთ 26წთ 51წმ
2. დავიდ ეჩებარია (ესპანეთი, ეუსკალტელ-ეუსკადი) +44წმ
3. ფელიქს კარდენასი (კოლუმბია, ლაბარსა 2-კაფეს ბაკე)
4. ხოსე გუტიერესი (ესპანეთი, კელმე)
5. იურგენ ვან გულემი (ბელგია, ქუიქ სტეპი) ყველამ იგივე დრო

**საერთო ჩათვლა**

1. ისიდრო ნოსალი (ესპანეთი, ეროსკი) 10სთ 51წთ 35წმ
2. ხოაკინ როდრიგესი (ესპანეთი, ეროსკი) +50წმ
3. იგორ გონსალეს კალდიანო (ესპანეთი, ეროსკი)
4. დავიდ ეჩებარია (ესპანეთი, ეუსკალტელ-ეუსკადი)
5. მარკოს სერანო (ესპანეთი, ეროსკი) ყველამ იგივე დრო

*გუშინ საქართველოს ნაკრებმა ფრანგული ლიგის საზომებით საშუალო „ნიმს" გაუმართა სპარინგი. ჩვენებისთვის ეს იყო ერთ-ერთი ბოლო საწვრთნელი მატჩი, რომლის შემდეგაც ბორჯღალოსნები 4-5 დღე დაისვენებენ და მერე ისევ საფრანგეთში შეიკრიბებიან*

# რატომ გაგვიჭირდა ნიმთან?





ნაკრების თამაშით უკმაყოფილო კლოდ სორელს „ნიმთან" საუკეთესო მერაბ კვირიკაშვილი მსოფლიოს თასზე მიჰყავს

**ბორჯღალოსანთა** მწვრთნელმა კლოდ სორელმა თანამემამულეებს მეორე შემადგენლობა დაუპირისპირა, სათადარიგო მორაგბეებს თავის გამოჩენის შანსი მისცა.

სამარქაფო ბორჯღალოსნებმა 24:20 დაამარცხეს „ნიმი". თითო ლელო ოთარ ელოშვილმა, გოჩა ხონელიძემ და გიორგი წიკლაურმა გაიტანეს. მერაბ კვირიკაშვილმა კი სამივე ლელო გარდასახა და ზედ ერთი საჯარიმოც დაურთო.

ნამატჩევს საფრანგეთში კლოდ სორელს დავუკავშირდით.

**— კმაყოფილი ხართ თამაშით?**

— არა, ძალიან ცუდი თამაში იყო. ბიჭებმა დავალება ვერ შეასრულეს. მოგების მიუხედავად იმედგაცრუებული ვარ. ჩემებისგან მეტს ველოდი, არც ერთს მოედანზე რაიმე აზრიანი არ გაუკეთებია. იყო პატარ-პატარა დასამახსოვრებელი მომენტები, მაგრამ ძალიან ცოტა. საერთოდ, „ნიმი" არ არის ისეთი კლასის გუნდი, რომელთანაც საქართველოს ნაკრებმა თუნდაც მეორე შემადგენლობით გაჭირვებით მოიგოს.

**— ვინმე ხომ არ დაშავებულა?**

— საბედნიეროდ, არავინ.

**— ვისი თამაშით ხართ კმაყოფილი?**

— დავით დადუნაშვილის, გია ლაბაძის, გიორგი წიკლაურის და მერაბ კვირიკაშვილის. კვირიკაშვილი ორივე გუნდში საუკეთესო იყო. „მეკომ" სამივე ლელოში ლომის წილი დაიდო. მისი სახით საქართველოს ნაკრებს ძლიერი 10 ნომერი ეზრდება. რაც შეეხებათ დანარჩენებს, სამუშაო კვლავაც ბევრია. გატანილი ლელოების მიუხედავად, ოთარ ელოშვილმა და გოჩა ხონელიძემ ძალიან ბევრი უნდა იმუშაონ საიმისოდ, რათა ნაკრებისთვის სასურველ დონეს მიაღწიონ.

*საქართველოს ნაკრების სასტარტო შემადგენლობა „ნიმთან": კიკნაძე, ქავთარაშვილი, ელოშვილი, ხონელიძე, ხეხელაშვილი, კვირიკაშვილი, ი. მოდებაძე; შველიძე, დადუნაშვილი, ესაკია, ნადირაძე, გუჯარაიძე, ლაბაძე, წიკლაური, ბოლღაშვილი*

**არჩილ ჭუმბურიძე**

# სორელის სიაში სამი ვაკანსიაა

**„ნიმთან"** მატჩის შემდეგ ბორჯღალოსანთა მწვრთნელმა კლოდ სორელმა შეკრებიდან ოთხი მორაგბე დაითხოვა: ბაქარი ხეხელაშვილი, დავით კიკნაძე, სანდრო ესაკია, სერგო გუჯარაიძე. სორელის თქმით, ეს ოთხეული მზად არ არის მსოფლიოს თასზე სათამაშოდ. ამასთან, გადაწყვეტილი ამბავია, რომ ავსტრალიაში ბორჯღალოსნებს დააკლდებათ მხარნაოპერაციევი ლევან ცაბაძე.

სორელის განკარგულებაში ახლა 27 მორაგბეა და რაკი სამსოფლიოსთასო განაცხადში 30 კაცი უნდა იყოს, სორელს კიდევ სამი კაცის დამატება მოუწევს. ერთიც, სორელის ჯერ არ გადაუწყვეტია ირაკლი გუნდიშვილის საკითხი, რომელსაც ბარძაყის კუნთი აქვს გაწყვეტილი და ორკვირინ მკურნალობას საჭიროებს. მანამდე გუნდიშვილი სამსოფლიოსთასიო განაცხადშია. მანამდე კი სორელმა კი მსოფლიოს თასისთვის ეს მორაგბეები შეარჩია: ***მორკინალები:*** *ავთანდილ კოპალიანი, ალეკო მარგველაშვილი, სოსო ნიკოლაენკო, დავით დადუნაშვილი, აქვსენტი გიორგაძე, გოდერძი შველიძე, ზურაბ მჭედლიშვილი, ვიქტორ დიდებულიძე, ვანო ნადირაძე, გრიგოლ ლაბაძე, გრეგუარ იაშვილი, გიორგი ჩხაიძე, დავით ბოლღაშვილი, გიორგი წიკლაური, ილია ზედგინიძე*

***უკანა ხაზი:*** *ბესიკ ხამაშურიძე, მალხაზ ურჯუკაშვილი, ირაკლი მაჩხანელი, არჩილ ქავთარაშვილი, თედო ზიბზიბაძე, ირაკლი გიორგაძე, ვასილ კაცაძე, გოჩა ხონელიძე, პავლე ჯიმშელაძე, ირაკლი აბუსერიძე, ირაკლი მოდებაძე, მერაბ კვირიკაშვილი*

## 2003 წლის მსოფლიოს თასი ჩვენი მეტოქეები

# ვუდვორდმა ვულკანი გააქეთა



კლაივ ვუდვორდი

**ლონდონში,** „თვიქენემზე" საფრანგეთის ტესტ-მატჩში დამარცხების შემდეგ ინგლისის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა კლაივ ვუდვორდმა ის 30 მორაგბე დაასახელა, ავსტრალიაში მსოფლიო თასზე რომ წაიყვანს.

დასახელებულთა შორის არ არის ბრიტანელი ლომების 3 წამყვანი მოთამაშე — მორკინალები გრემ როუთრი და საიმონ შოუ, აგრეთვე უნივერსალი უკანახაზელი ოსტინ ჰილი. კლაივ ვუდვორდმა თავისი გადაწყვეტილება ასე ახსნა: „ჩემთვის ძალიან ძნელი იყო არჩევანის გაკეთება. მე ველაპარაკე ოსტინ ჰილს და ავუხსენი, რატომაც არ მიმყავს მსოფლიოს თასზე. მთავარი ის არის, რომ მოთამაშეებმა იციან, თუ რა ძნელი იქნება ავსტრალიაში და რა საპასუხისმგებლო მატჩები გველის. მე 22 საუკეთესო მორაგბე მჭირდება."

ორწლიანი პაუზის მერე ნაკრებს დაუბრუნდა 31 წლის 10 ნომერი მაიკ ქეთი. მას „ვარდების" შემადგენლობაში 56 თამაში აქვს ჩატარებული. „ქეთის 30 კაციან სიაში შეყვანა ტრავმებმა გამოიწვია, ჩარლი ჰადსონი და ალექს კინკი დამტვრეულები არიან, მე კი ავსტრალიაში სამი 10 ნომერი მჭირდება, თანაც მაიკს შუამარბად და ბოლო მცველის პოზიციაზე თამაშიც შეუძლია" — დასძინა ვუდვორდმა.

ინგლისის ნაკრები მსოფლიოს თასზე C ჯგუფში სამხრეთ აფრიკასთან, სამოასთან, ურუგვაისთან და საქართველოსთან მოხვდა. ავსტრალიაში პირველ მატჩს ინგლისელები სწორედ საქართველოსთან გამართავენ.

**არჩილ ჭუმბურიძე**



სემო სეტიტი



ბრაიან ლიმა

# ბომ, ბომ სამოა დამძიმდა

**მსოფლიოს თასზე** საქართველოს ნაკრების თანაჯგუფელი და ურუგვაისთან ერთად ჩვენების მთავარი „სამიზნე", სამოა სამსოფლიოსთასოდ გაემზადა.

სამოელთა მთავარი მწვრთნელი ჯონ ბო საავსტრალიო შემადგენლობის გამოცხადებას ორი კვირის წინ აპირებდა, მაგრამ მერე გადაიფიქრა, ემანდ რამე არ შემეშალოსო და დიდი ხნის განსჯის შემდეგ, მისი აზრით, საუკეთესო ოცდაათი სამოელი შეკრიბა.

არახალია, რომ ლატაკი კუნძულელები ლუკმაპურის საშოვნელად მსოფლიოს ლამის ყველა კუთხეში არიან მიმოფანტულები. ჰოდა, სამოელთა ნაკრებში ბლომად „ბრიტანელები", „იაპონელები" და „ავსტრალიელები" არიან. ბო სწორედ ლეგიონერებზე ამყარებს დიდ იმედებს, რაკი შიდა ჩემპიონატში კარგი მორაგბის მოძებნა ფაქტობრივად შეუძლებელია. და კიდევ, ხელდახელ თამაშის მოტრფიალე და მობილური სამოა ავსტრალიაში საკმაოდ „დამძიმდება".

„მსოფლიოს თასზე სამოა ერთ-ერთი მძიმე ნაკრები იქნება. შერკინებაშიც და უკანახაზშიც ბრგე და ზორბა ბიჭებს მოვუყარე თავი. ჯგუფში ისეთი მეტოქეები გვყავს, რომ მათთან ჭიდაობაც საჭიროა და ლაღი თამაშიც. სელექციით კმაყოფილი ვარ. მეტოქეებს ვურჩევ, ჩვენთან ხუმრობა არ დაიწყონ" — განაცხადა ბომ.

ახლა კი იმ ხალხზე ვთქვათ, „ხუმარა" მეტოქისთვის ხასიათის წახდენა რომ შეუძლიათ. ამათგან უპირველესად შოტლანდიური „ბორდერსის" მე-8 ნომერი სემო სეტიტი უნდა გამოვარჩიოთ. 26 სანაკრებო კეპის მომხვეჭი სეტიტი მსოფლიოს თასზე მისიანთა კაპიტანი იქნება. ყოჩს ზურგს გაუმაგრებენ ფეხმარდი უკანახაზელები: ლომე ფაატაუ, ერლ ვაა და ბრაიან ლიმა.

ფაატაუ ახალზელანდიური გრანდის „ველინგტონის" გარემარბია, ხოლო 49 სანაკრებო მატჩში 26 ლელოს გამტანი ლიმა უნივერსალ მოიერიშედ ითვლება და მე-3 მსოფლიოს თასს გადააგორებს. 10 ნომერი ვაა კი ფეხჩუბინობითაა ცნობილი და 118 ქულით სამოეთა მთავარი ბომბარდირია.

## ინგლისი

**შერკინება:** ჯეისონ ლეონარდი, ფილ ვიკერი, ჯულიან უაითი, ტრევორ ვუდმენი, მარკ რეგანი, სტივ ტომპსონი, დორინ ვესტი, დენი გრივკოვი, მარტინ ჯონსონი (კაპ), ბენ კეი, ნილ ბეკი, მარტინ კორი, ლოურენს დალალიო, რიჩარდ ჰილი, ლუის მუდი, ჯო უორსლი.

**უკანა ხაზი:** იან ბოლშოუ, ბენ კოენი, ჯოშ ლიუისი, დან ლუგერი, სტიუარტ აბოტი, ვილ გრინვუდი, მაიკ თინდალი, მაიკ ქეთი, პოლ გრეისონი, ჯონი უილკინსონი, კირან ბრაკენი, მეტ დოუსონი, ენდი გომერსალი, ჯეისონ რობინსონი.

## სამოა

**შერკინება:** ჯონატან მერედიტი, ტრევორ ლეოტა, საიმონ ლემალუ, კას ლილამანუა, ჯერემი ტომული, ტამატო ლეიპოლუ, ოპეტა პალეპოი, მიშელ ფან დინკლინგი, ლეო ლაფაიალი, კიტიონა ვილიამუ, სიაოსი ვაილი, პატრიკ სეგი, მაური ფაასავალუ, ანრი ტუილაგი, სემო სეტიტი

**უკანა ხაზი:** პიტერ პული, სტივენ სოოიალო, დენი ტირელი, ჯონ სენიო, ტანერ ვილი, ერლ ვაა, ლომე ფაატაუ, ბრაიან ლიმა, დეილ რასმუსენი, ტერი ფანოლუა, რომი როპატი, რონ ფანუტანუ, დომინიკ ფიუნატი, ფაატონუ ფილი, საილოსი ტაგიკაკიბაუ

# ბურთი ბერლინში

ყველამ ვიცით, რომ 2006 წლის მსოფლიო თასს ფეხბურთში გერმანია უმასპინძლებს. ბერლინში უკვე გამოჩნდა ამის ნიშნები. გიგანტური ბურთი, რომელიც ბრანდენბურგის ჭიშკართან დადგეს ვენელი მხატვრის ანდრე ჰელერის ხელმძღვანელობით, მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე ზუსტად ათასი დღით ადრე გაიხსნება.



REUTERS

# ჩინური თამაშები

იუნჩანში, ნინჩჟიას ავტონომიის ქალაქში დიდი წარმოდგენით გაიხსნა ჩინეთის ეთნიკურ უმცირესობათა მეშვიდე სპორტული თამაშები. ჩინეთში 56 ეროვნების მკვიდრი ეთნოსი ცხოვრობს და ამათ 56 4000 სპორტსმენი წარუგზავნიათ თამაშებზე, სადაც 14 სახეობაში გაეჯიბრებიან ერთმანეთს. იმათ შორის, სხვადასხვა ჭიდაობაში, ცხენოსნობაში, ნაოსნობასა და მშვილდის სროლაში.



REUTERS



REUTERS

# მილუოკური აცდენა

აი, ისეთი გამოსტყორცნეს ჩიკაგოელმა „ქაბებმა", რომ მილუოკელ კეტბურთელს, რიჩი სექსტონს ბურთი აქეთ დაურჩა, კეტი კიდევ იქეთ.



REUTERS

# სამძიმარი

სწორედ ამ ადგილას ბომბეიში ამ დღეებში ტერორისტული აქტი მოხდა: აფეთქებამ 52 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ინდოეთის კარიბჭედ წოდებულ თაღთან მოსამძიმრეთა ნაკადი ჯერაც არ შემწყდარა, იმათ შორის კი იყო ავსტრალიელი ბადროს მტყორცნელი ბრიტ ლი.


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ ვულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge